# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 30 ივნისი, 2009 წელი.

№ 131 (6232)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


# ბერლინში შევკრათ პირობა...







ჯახა მოიღა!..

- გრეჩიხას ოქრო
- საფრთხობელა
- გივიმ თქვა...
- დიდი მოურავიდან პატარა გიგიმდე

3

## როგორ ცდილობს ხელისუფლება ეროვნული ფორუმის დისკრედიტაციას

2





4

## ოპოზიციური მუხტის ჩაქრობას ძლიერი რეპრესიული მანქანის ამოქმედება დასჭირდება

## „ოპოზიციის მარცხის ძირითადი მიზეზი პოლიტიკური უალტერნატივობაა“



6

8

## რუსეთი კავკასიაში სამხედრო სწავლებას იწყებს



ოპერატიულ-სტრატეგიული სწავლება „კავკაზ-2009“, შესაძლოა, რუსეთ-საქართველოს ახალი ომის პროლოგი გახდეს

6

ინფორმაცია

## პარტიებს დაფინანსება შეუჩერეს, სამაგიეროდ „ყურები“ ჩაუმონტაჟეს

**„საქართველოს გზის“ ოფისში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს. ამის შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებს თავად პარტიის ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა განუცხადა.**

მისი განმარტებით, მისი პარტიის ოფისში ორი მოსასმენი აპარატურა აღმოჩნდა დამონტაჟებული, მათ შორის ერთ-ერთი სათათბირო ოთახში.

აღმოვაჩინეთ ორი მოსასმენი აპარატურა. ერთ-ერთი სათათბირო ოთახში, მეორე კი, ჩემს კაბინეტში იყო დამონტაჟებული. მაშინვე დავიწყეთ საპატრულო პოლიციაში რეკვა, თუმცა რატომღაც ყველა ოპერატორი დაკავებულია. ეს არის ჩვენი ერთადერთი ოფისი, რომელსაც ალბათ, მალე დავხურავთ სწორედ იმიტომ, რომ ხელისუფლებამ პარტიების დაფინანსება შეაჩერა. სამაგიეროდ, როგორც ჩანს, არ შეჩერებულა სხვების საუბრების მოსმენები, — განუცხადა ზურაბიშვილმა ჟურნალისტებს.



* * *

**მოსასმენი აპარატურა „კონსერვატიული პარტიის“ ოფისშიც აღმოაჩინეს. ამის შესახებ პარტიის პრესსამსახურის წარმომადგენელმა ქეთი ჯოხაძემ განაცხადა.**

— ერთი მოსასმენი აპარატურა ბრიფინგების ოთახში, მეორე კი კახა კუკავასა და ზვიად ძიძიგურის კაბინეტში იყო დამონტაჟებული, — განაცხადა ჯოხაძემ.

## დააკავეს ოპოზიციის აქტივისტი

**სამართალდამცველებმა ოპოზიციის აქტივისტი ბესო სარჯველაძე დააკავეს. სარჯველაძის დაკავების შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო აქვეყნებს.**

ოფიციალური ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ბესო სარჯველაძე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო იქნა დაკავებული.

დაკავებული იქნა 1982 წელს დაბადებული ბესიკ სარჯველაძე, რომელიც არ დაემორჩილა საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მითითებას და საპატრულო პოლიციის მანქანაში ჩაჯდომისას ჩაამსხვრია ავტომანქანის უკანა კარის მინა, — ნათქვამია შსს-ის განცხადებაში.

ამ დროისთვის ოპოზიციის აქტივისტი წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. მის მიმართ გამოძიება სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხულიგნობის მუხლით აღიძრა, რაც თავისუფლების 1-დან 3 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

## ობამა-მედვედევის შეხვედრა ჩვენთვის იმედისმომცემი არ არის

**პოლიტოლოგ ანდრო ბარნოვის შეფასებით, ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ მინისტერიალზე მოსკოვმა ევროპას კიდევ ერთხელ მიანიშნა, რომ საქართველოს საკითხში უკან დახევას არ აპირებს.**

როგორც ბარნოვმა განაცხადა, ნატო-რუსეთის საბჭოს აღდგენის ფონზე რუსეთი საქართველოს საკითხში არავითარ დათმობაზე არ წავიდა, რაც მიანიშნებს, რომ მოსკოვი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში დასავლეთთან დიალოგს არ აპირებს.

მისივე თქმით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებები იმაზე მიუთითებს, რომ მოსკოვში დაგეგმილი ობამა-მედვედევის შეხვედრის ფონი იმედისმომცემი არანაირად არ არის.

ბარნოვი ნატო-რუსეთს შორის ურთიერთობების აღდგენას მიესალმება, მაგრამ საქართველოსთვის საშიშ მესიჯად აფასებს ნატოს გენერალური მდივნის სხეფერის განცხადებას, რომ ნატო-რუსეთის ურთიერთობებში საქართველოს თემა დამაბრკოლებელი საკითხი ვერ იქნება. პოლიტოლოგის განმარტებით, სხეფერის ამგვარმა განცხადებამ, შესაძლოა, რეგიონში ვითარება დაძაბოს.

ბარნოვის აზრით, რუსეთი თვალს ხუჭავს იმაზე, რომ საერთაშორისო ასპარეზზე, პრაქტიკულად, მარტოა; თუმცა, ეს დიდად არ აღელვებს და მაინც მიაღწია, რომ მოსკოვთან ურთიერთობები, ევროკავშირის გარდა, ნატომაც აღადგინა.

## რუსეთი ჩვენს მიმართ პოზიციას არ შეიცვლის

**პოლიტოლოგ შალვა ფიჩხაძის შეფასებით, ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ მინისტერიალზე ცხადი გახდა, რომ დასავლეთს საქართველოსთან მიმართებაში რუსეთზე არც ზეწოლის ბერკეტები აქვს და სანაცვლოდ არც არაფრის შეთავაზება არ შეუძლია.**

ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტერიალზე საქართველოსთან მიმართებაში პოზიცია არც დასავლეთს შეუცვლია და არც —რუსეთს. ცხადი გახდა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში მოსკოვი განჭვრეტად მომავალში პოზიციას არ შეიცვლის და შეეცდება, დასავლეთს აღიარებინოს ის რეალობა, რომელიც საქართველოში აგვისტოს ომის შემდეგ შეიქმნა, — განაცხადა ფიჩხაძემ.

მისივე თქმით, სამწუხაროა, რომ ეუთომ ვერ შეძლო, რუსეთისგან მიეღო თანხმობა, ეუთოს დამკვირვებელთა მისიას განეახლებინა თავისი საქმიანობა სამხრეთ ოსეთში; ეს ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში ე.წ. სამხრეთ ოსეთში ეუთოს დამკვირვებელთა მისია საქმიანობას იმ ფორმატით ვერ აღადგენს, რომლითაც ამ რეგიონში მონიტორინგს აწარმოებდა.

**ჯი-ეიჩ-ენი, ინტერპრესნიუსი**

თვალსაზრისი

## თორნიკე შარაშენიძე: რაც უფრო მეტად იზოლირებული იქნება რუსეთი, მით უფრო საშიშია ჩვენთვის

**საერთაშორისო საკითხებში ექსპერტის თორნიკე შარაშენიძის აზრით, ამერიკა-რუსეთის დაახლოება საქართველოსთვის სასიკეთო იქნება, რადგან რუსეთს სურს აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო უსაფრთხოების წესრიგის მოგვარებაში, რის გამოც იძულებული გახდება კონსტრუქციული სახელმწიფოს როლი მოირგოს. მისი თქმით, რაც უფრო მეტად იზოლირებული იქნება რუსეთი, ჩვენთვის მით უფრო საშიშია.**

**ამ საკითხებთან დაკავშირებით საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ თორნიკე შარაშენიძეს ესაუბრა.**

**— ბატონო თორნიკე, ბოლო დროს საერთაშორისო არენაზე, საქართველოს პოზიციები ხომ არ შეცვლილა? ორი სადამკვირვებლო მისიის შეწყვეტა და გაეროს გენერალური მდივნის ბოლო ანგარიში ხომ არ ნიშნავს იმას, რომ დასავლეთის მხარდაჭერა ჩვენს მიმართ შესუსტდა?**



— საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენ არასდროს არანაირი პოზიციები არ გვქონდა. უბრალოდ, რეგიონალური მოთამაშე ვართ და ეს მნიშვნელოვანია იმით, რომ ამერიკის ინტერესების სფეროში შევდივართ.

**— აგვისტოს ომის შემდგომ, საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან საკმაოდ აქტიური მხარდაჭერა ჰქონდა, რაც რუსეთის მიმართ მკაცრი რეზოლუციების მიღებით გამოიხატა. როგორ ფიქრობთ, ბოლო რეზოლუციებიდან და ანგარიშებიდან გამომდინარე, ეს მხარდაჭერა ხომ არ შესუსტდა?**

— მხარდაჭერა ისევ აქტიურია, მაგრამ საქმეს რუსეთის ვეტოს უფლება ართულებს.

**— ამერიკა-რუსეთის მოლაპარაკებებიდან გამომდინარე, ჩვენთვის სასიკეთო რაიმე პერსპექტივა თუ ჩანს?**

— ამერიკა-რუსეთის დაახლოება ჩვენთვის, რა თქმა უნდა, კარგია. ყოველ შემთხვევაში ეს მცდელობა, რუსეთს თავს ნაკლებად იზოლირებულად აგრძნობინებს. შესაბამისად, რუსეთი იძულებული ხდება კონსტრუქციული სახელმწიფოს როლი ითამაშოს, რათა მსოფლიო უსაფრთხოების წესრიგის მოგვარებაში აქტიურად იყოს ჩართული. კრემლს თვითონაც უნდა, რომ ეს როლი ჰქონდეს დაკისრებული, ამიტომ ჩვენთვის ამერიკა-რუსეთის დაახლოება კარგია. რაც უფრო მეტად იზოლირებული იქნება, რუსეთი მით უფრო მეტად საშიშია ჩვენთვის.

**— რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით სიტუაცია ჩვენთვის სასიკეთოდ შეიცვალოს?**

— ამ ეტაპზე არანაირი სასიკეთო პერსპექტივა არ ჩანს. ამჟამად ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ ქვეყანა ახალი ომისგან გადავარჩინოთ.

**— შიდა პოლიტიკურმა პროცესებმა რა გავლენა მოახდინა დასავლეთის დამოკიდებულებაზე — ეს მოვლენები მათი ჩვენდამი მხარდაჭერაზე ნეგატიურად ხომ არ აისახება?**

— გავლენა მოახდინა იმ თვალსაზრისით, რომ მეტნაკლებად ჯერჯერობით ყველაფერი მშვიდობიანად ვითარდება და ეს ჩვენთვის კარგია. საერთაშორისო საზოგადოების თვალში ამ ფაქტს საკმაოდ კარგი რეზონანსი აქვს.

ოპოზიცია

# როგორ ცდილობს ხელისუფლება „ეროვნული ფორუმის“ დისკრედიტაციას

## ჯერ გამოუქვეყნებელი „შეთითხნილი საქმე“

**„ეროვნულ ფორუმს“ ათი დღის სამოქმედო გეგმა წინასწარ აქვს გაწერილი, ფორუმელები ორ ჯგუფად დაიყოფიან და ჯერ ისევ აჭარაში, ხოლო შემდეგ გურიასა და იმერეთში ცალ-ცალკე შეხვდებიან მოქალაქეებს. რის მიღწევას ლამობენ ამით? — პასუხი ასეთია: ჯერ არაფრის, მაგრამ როცა საპროტესტო ტალღა კვლავ განახლდება, რეგიონის მოსახლეობა ინფორმირებული და ორგანიზებული უნდა შეხვდეს, რათა აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში და თბილისი მარტო არ დარჩეს.**



აცლიან თუ არა „ფორუმს“ იდეების განხორციელებას, ეს უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან, როგორც თავადვე აცხადებენ, ხელისუფლებამ მათზე იერიში მიიტანა. ხელისუფლება „ეროვნული ფორუმის“ წინააღმდეგ საქმის შეთითხვნას ცდილობს, — აღნიშნა ირაკლი მელაშვილმა სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე, — ჩვენს ერთ-ერთ წევრთან ზაზა ოქიაშვილთან მივიდნენ სოდის თანამშრომლები და აიძულებდნენ ეთქვა, თითქოს „ფორუმი“ რუსული ფულით ფინანსდება. ეს ხმამაღლა უნდა განეცხადებინა და „ფორუმი“ საჯაროდ დაეტოვებინა, — ამბობს მელაშვილი, — მაგრამ ზაზა ოქიაშვილი პარტიის წევრად რჩება და არსად წასვლას არ აპირებს.

აღმოჩნდა, რომ ხელისუფლება კიდევ უფრო შორს წავიდა და „სკანდალური“ ინფორმაციის გამოზეურებას გეგმავს. იგულისხმება მუხროვანის ამბოხის ამბები, რომლის პოლიტიკურ „კრიშად“ სწორედ „ფორუმი“ უნდა დასახელდეს. დაკავებულ ლევან ამირიძეს კი „ამუშავებენ“, რომ ეს ამბავი ათქმევინონ.

**ჩვენ მივმართავთ სოდის და კუდის თანამშრომლებს, თუკი აქვთ რაიმე ინფორმაცია, დროულად გამოაქვეყნონ, ხოლო ადამიანებზე ზემოქმედებასა და წამებას თავი დაანებონ, — აღინიშნა ბრიფინგზე, — ათქმევინო ვინმეს ის, რომ ჩვენ რუსულ ფულზე ვდგავართ, ეს იდეა თავიდანვე ჩავარდნილია და არაფერი გამოუვათ.**

„ფორუმელები“ ოპოზიციასთან თანამშრომლობას აპირებენ და მათ ასეთ გეგმას სთავაზობენ: ცნობილია ყველა ის პოლიციელი, ვინც ოპოზიციონერებს იარაღსა და ნარკოტიკს უდებს (ჯერჯერობით სახელისა და გვარის გამოქვეყნება მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ). მაგრამ თანამებრძოლებთან ამ იდეის შეთანხმების შემდეგ, საჯაროდ გაამხელენ მათ გვარებს, და არა მარტო გაამხელენ, არამედ დაამზადებენ პლაკატებს, სადაც ამ ადამიანების სურათების ქვეშ მიაწერენ „ჯალათს“. ფორუმელები არ გამორიცხავენ ამის შემდეგ ვითარების დაძაბვას, რასაც შესაძლოა საზოგადოებისა და პოლიციის დაპირისპირება მოჰყვეს. ამის თავიდან ასაცილებლად კი სამართალდამცავებს ურჩევენ, არ დაემორჩილონ უკანონო ბრძანებებს.

ირაკლი მელაშვილმა კომენტარი გააკეთა ბერლინში გაჩეჩილაძე-გამყრელიძე-თარგამაძის შეხვედრაზეც: უწინარესად იმას ვიტყოდი, რომ ფორუმელების ბიოგრაფია კახა თარგამაძის მინისტრობას არ უკავშირდება, ხოლო ის არასოდეს იქნება ის პიროვნება, რომელთანაც რაიმე ურთიერთობას ვისურვებდი. მას არ მივიჩნევ პოლიტიკურ ფიგურად, ხოლო რა „რკინის კაციც“ ის იყო, ყველამ კარგად ვნახეთ.

კახა თარგამაძის გამოსვლა, რომელიც ტელევიზიით ვიხილეთ, ძალიან უსუსური იყო. 40 წუთის განმავლობაში თუ რამე სერიოზული სათქმელი ჰქონდა, უნდა ეთქვა. პირადად მე ვკითხავდი, როგორ იყო, რომ გაყალბა 1999 წლის არჩევნები, როგორ დაბეჭდეს ყალბი პირადობის მოწმობები შინაგან საქმეთა სამინისტროს გვერდის ავლით(!ძ, როგორ გაამარჯვებინა მიხეილ სააკაშვილს ვაკის არჩევნებში და ა. შ.? უამრავი ფაქტი იყო ისეთი, რაზეც მას შეეძლო, სიმართლე ეთქვა. რაზეც ის ათასი სისულელით თავს იმართლებდა, უსუსური იყო, რადგან ყველამ კარგად ვიცით და ინფორმაციაც ბლომად გვაქვს იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა მისი მინისტრობის დროს.

ეს არ ნიშნავს, რომ ვანო მერაბიშვილი მასზე უკეთესია, მაგრამ თარგამაძის რაიმე სახით პოლიტიკაში დაბრუნება დაუშვებელია, ოპოზიცია ამაში მგონი, ერთიანია, — ამბობს მელაშვილი.

გაჩეჩილაძე-გამყრელიძეს ფორუმელებისთვის რჩევა რომ ეკითხათ, რა თქმა უნდა, ისინი შეხვედრას არ ურჩევდნენ, თუმცა ფიქრობენ, საზოგადოება ამას სერიოზულად არ აღიქვამს და მიხვდება, ეს აჟიოტაჟი ხელისუფლებამ სპეციალურად ატეხა იმისთვის, რომ უამრავი პრობლემიდან ყურადღება ამაზე გადაიტანოს.

**თეა მოსია**

ფიქრები – ხმამაღლა

# ბერლინში შევკრათ პირობა...

**ბოლოს ყველაფერი ბერლინით რომ უნდა დამთავრებულიყო, „ჩემთვის დღესავით იყო ნათელი“. ყველა, ვინც თვალს ადევნებს მოვლენებს და ცოტა გრძლად ფიქრობს კიდეც, ბოლო დღეებში აშკარად ელოდა რაღაც მსგავსს.**

ჯერ იყო და ბატონმა პრეზიდენტმა „რუსთავი-2“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ნართაულად ილაპარაკა რუსეთის საფრთხეზე, მის აქაურ ხელის ბიჭებზე. ვიღაც-ვიღაცები მსოფლიოს მოუწოდებენ, საქართველო გაათავისუფლონ სააკაშვილისგან და რაკი მსოფლიოს მოუწოდებენ, მათ შორის უპირველესად რუსეთს გულისხმობენო, რუსეთმა გარყვნა ჩვენი ელიტის ნაწილიო.

აქ აშკარად მეამბოხე ოპოზიციას გულისხმობდა ბატონი მიხეილი. ამ გადაკრული რებუსებიდან უნდა დაკვალიანებულიყავი, რომ ოპოზიცია რუსეთისგან თანხებს იჯიბავს, თუმცა „მათმა აქციებმა ჩვენ დიდი სარგებლობა მოგვიტანა, დაამტკიცა, რომ სახელმწიფო არსებობს“, ანუ სარგებლობა იმით მოგვიტანა, რომ „გაიხსნა“ მისი შავი მიზნები და ბრძოლის ასევე შავი მეთოდები და ეს ყველაფერი იმით გახდა შესაძლებელი, რომ საიდუმლო თუ არასაიდუმლო სამსახურებმა გამოააშკარავეს ეს მიზან-მეთოდებიო...

ამრიგად, ორაკულმა წარმოაჩინა მტერი და მისი ვერაგული ჩანაფიქრი;

ხალხი გააფრთხილა, რომ საშიშროება კარზეა მომდგარი და ყველანი ფხიზლად უნდა ვიყოთ;

რომ სარმა შეიძლება ისეთმა ვინმემაც დაგვიდოს, მისგან სულაც რომ არ ველოდებით (ოღონდ, არ ელოდება საზოგადოება, თორემ ხელისუფლებამ ყველაფერი კარგადაც იცის და ნებისმიერ სისაძაგლესაც ელოდება თავისი ნაძირალა მოქალაქეებისგან).

ამჯერად პრეზიდენტმა კონკრეტული დასახელებებისგან როგორღაც გმირულად შეიკავა თავი.

სამაგიეროდ, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ „გადაყლაპა რადიო“. ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე და ყოფილი ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძე წარმოაჩინა საქართველოში რუსეთის გეგმების აღმსრულებლებად, ანუ კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობის მედროშეებად. კახა თარგამაძეს საქართველოში ნაძარცვი 800 მილიონი დოლარი (?!) რუსეთში აქვს წაღებული და მას საქართველოს წინააღმდეგ იყენებსო. დღეს თარგამაძე და მამალაძე საქართველოს უპირველესი მტრები არიანო. ოპოზიციის ლიდერები თავს იკლავენ, საქართველოს ხელისუფლების დამხობის რუსულ გეგმასთან კავშირი არ გვაქვსო, რუსეთი ნაცმოძრაობას უბრალოდ ბუად ჰყავს წარმოდგენილიო, მაგრამ ეს ასე არ არისო.

ამ ძარღვიან თემას თავისი წონადი სიტყვა შეაწია პარლამეტში მიწვეულმა საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელმა გელა ბეჟუაშვილმაც.

ხოლო პარლამენტარმა გოკა გაბაშვილმა ცეცხლზე ნავთი დაასხა, ნინო ბურჯანაძეს და მის ქმარს ბადრი ბიწაძეს რუსეთის ფული უმაგრებთ ზურგსო (დაახლოებით ასე). იმ დღეს კი ინგა გრიგოლიასთან სულ რეტროგრადები უძახა ლევან გაჩეჩილაძეს და დავით გამყრელიძეს, ადრიდანვე კახა თარგამაძის ფრთებს არიან შეფარებული, რუსული კრიმინალური ფულით ფინანსდებიან, პარტია „ახალი მემარჯვენეები“ სულაც თარგამაძის დაარსებულია და ახლაც მისით სულდგმულობსო...

რა დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა ყოველივე ზემოთქმულიდან?

იმის, რომ მზადდებოდა მასობრივი დარტყმა ოპოზიციაზე, მის ყველაზე გამორჩეულ ლიდერებზე. თანაც წყალგაუვალი ბრალდებით – ისინი რუსეთის აგენტები არიან, რუსულ საქმეს აკეთებენ რუსული ფულითო.

დღეს ამაზე დიდი ბრალდება არ არსებობს – სამშობლოს მტერი ხარ, თანაც, სამშობლოს №1 მტრის მიერ ხელდასხმული!



გათვლა უტყუარია: ზოგი დაიჯერებს, ზოგი – არა, მაგრამ შენ ყველა ვარიანტში მოგიწევს მტკიცება, რომ აქლემი არა ხარ.

აქ ისიც უნდა ვთქვათ, თუ რა მომენტში ხდება ეს:

სახელმწიფო კრიზისი ზენიტს გადასცდა, სახალხო გამოსვლების ტალღა კლებულობს, ანუ ბრალდებებისთვის, რაგინდ უკუღმართიც იყოს, ხელსაყრელი მომენტია – გულგატეხილი, დამარცხებული და გაღიზიანებული ხალხი დღეს უფრო მოისმენს ნებისმიერ „ბრალდებას“, ვიდრე გუშინ.

ნიშანდობლივია: ამ რევოლუციურ თავდაღმართში ხელისუფლება უფრო ბედავს ოპოზიციასთან ხელჩართულ შებრძოლებას, ვიდრე – გუშინწინ და ეს პროცესი ალბათ უფრო გამრავალფეროვნდება და გახშირდება.

აქ უპრიანია ბატონ პრეზიდენტის მოსაზრების კიდევ ერთხელ გადახედვა იმასთან დაკავშირებით, რომ ოპოზიციის მიმართ ბოლო ხანს მოხშირდა ძალადობა, ცემა-ტყეპა.

ძალის გამოყენების უფლება აქვთ მხოლოდ ძალოვნებს და სხვას არავის. როგორია ჩვენი პოლიციის ქმედება? **„ისინი ყველანი მოაზროვნე ბიჭები არიან, სწორი მზერა აქვთ. მათ კრიმინალი არ უნდა ეძახო. თუ ორი თვე პოლიციას აგინებ და კრიმინალს უძახებ, არ უნდა გაგიკვირდეს, რომ მათაც ჰქონდეთ ხალხის მიმართ გაუცხოება“**, – ბრძანა ბატონმა მიხეილმა და ჩვეულებისამებრ ცხვირზე ისეთი აპლომბით გაისვა მაჯა, თითქოს, რაც თქვა, სულ თავანკარი სიბრძნე თქვა.

ასე მოხდა **მოაზროვნე, სწორი მზერის მქონე პოლიციის მხრიდან** ძალადობის გამართლება, ასე შემზადდა ნიადაგი ოპოზიციის ლიდერთა რუსული ფულით დაქამანდების ბრალდებისთვის.

თუ პიესის პირველ მოქმედებაში კედელზე თოფი ჰკიდია, იმ თოფმა ბოლო, მესამე მოქმედებაში უნდა გაისროლოს.

გაისროლა კიდეც.

გამოჩნდა ფარული ვიდეოჩანაწერი, თუ როგორ ჭუკჭუკებენ ბერლინის ერთ-ერთი პრესტიჟული სასტუმროს ფოიეში ლევან გაჩეჩილაძე, დავით გამყრელიძე და კახა თარგამაძე.

რაზე უნდა ეჭუკჭუკათ ამ განსხვავებულ ადამიანებს: ქართული ოპოზიციის გამორჩეულ ლიდერებს და სამშობლოდან წასულ რუსეთის მოქალაქეს, რომელიც ბუნებრივად მოიაზრება მტრად თუნდაც იმიტომ, რომ სამშობლოდან არის წასული და თანაც რუსეთის მოქალაქეა (რა, არ კმარა დანაშაულად?)

საუბარი იყო, რა თქმა უნდა, იმაზე, თუ როგორ დაამხონ საქართველოს ხელისუფლება, რომელმაც **მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს ომი ძლევამოსილად წააგო, ეს ომი ძლევამოსილად მოიგო, რადგან „გადაარჩინა სახელმწიფოებრიობა, შეინარჩუნა საზოგადოების ერთიანობა და სიმტკიცე“**. ერთი სიტყვით, შეინარჩუნა სახელმწიფოებრიობა, რომელიც ბოლო 500 წელი აღარ ყოფილა საქართველოში (?) და მათ – ნაცმოძრაობამ და პრეზიდენტმა აღადგინეს იგი. ახლა კი, წურას უკაცრავად და, მისი მოშლა უნდოდა რუსეთს.

ჭუკჭუკის შინაარსი არ გახმაურებულა, ჯერჯერობით მხოლოდ ივარაუდება. ჭუკჭუკის ფაქტი კი დაფიქსირდა და ვიდეოჩანაწერის სახით მრავალგზის წარედგინა ამ ჩვენს ურწმუნო საზოგადოებას. შეხედავ და უნებურად სიმღერა გაჯდება ენაზე:

**ბერლინში შევკრათ პირობა,**
**ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია,**
**ჩავუხტეთ სააკაშვილსა,**
**თავს დავაქციოთ ბანია.**

რატომ მაინცდამაინც კახა თარგამაძე? იმიტომ, რომ მას ფული აქვს – 800 მილიონი დოლარი (?!) და, ბუნებრივია, ახლა ამ ფულის ნაწილს დააბანდებს ნაცმოძრაობის წინააღმდეგ „უკანასკნელ და ფიცხელ ომში“. მაგრამ კახა თარგამაძე მარტოხელა მგელი როდია, მის უკან დგანან სხვა მგლები – რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენები. აი ამას წინათ გამოჩნდა კიდეც ვინმე ალექსანდრე ებრალიძე, რომელსაც თურმე, გესმით, რომელსაც თურმე... ჰა, ჰა, ჰა, საქართველოს პრეზიდენტობა უნდა!!! და თვალს გვიბრმავებს ვარლამ არავიძის პენსნეს ბრჭყვიალი – ჩვენ მტრებით ვართ გარშემორტყმული, მტრები უნდა ვეძებოთ და გავანადგუროთ იქაც კი, სადაც ის არ არის!..

იხ. 4 გვ.

გრანდიოზული ჭორაობა

# კახა მოიდა!..

***ხელისუფლების ინიციატივით და მისივე ხელმძღვანელობით, გასულ კვირაში დაიწყო გრანდიოზული მასშტაბის ჭორაობა კოდური სახელწოდებით „კახა მოიდა!“***

## გრეჩიხას ოქრო

არ ვაჭარბებ, – ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფის შინაშე დგას: პოლიტიკური დაპირისპირება ზენიტს უახლოვდება; რუსეთ-საქართველოს 2008 წლის 8 აგვისტოს ომის შემსწავლელი ე. წ. ჰაიდი ტალიავინის კომისია უახლოეს დღეებში დადებს დასკვნას, რომელმაც, შესაძლოა, საბოლოოდ მოჭრას თავი საქართველოს; შიშით ველით აშშ ვიცე-პრეზიდენტის სტუმრობას; კატასტროფულად იზრდება ფასები; ეცემა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი; საპატიმრო ადგილები გადატენილია მსჯავრდებულებით... საცაა მრისხანე სტიქია ჯებირებს გაარღვევს და დედაბუდიანად წაგვლეკავს. ამ დროს კი ქვეყნის პარლამენტიც და აღმასრულებელი ხელისუფლებაც თავს იმაზე იმტვრევენ, სად უნდა ეშოვა ფული გრეჩიხას, რამდენი უნდა ეშოვა და რისთვის უნდა ეშოვა.

ლევან გაჩეჩილაძე ხელისუფლების ავადმყოფურ ეჭვიანობას და დედაკაცური ჭორაობის დაუოკებელ სურვილს უფრო აღვივებს – დიახ, ანტისახელისუფლებო მოძრაობის აღმაფრენისთვის ფული საკმარისად ვიშოვე, ზოგიერთი ჩინიანი ქართველი პოლიტიკოსის სახელის გამტეხი ინფორმატორებიც ბლომად შევაგროვე, გამჭრიახი და მდიდარი მეგობრები და თანამოაზრეებიც შევიძინეო.

ღმერთმა ხელი მოუმართოს. თუ იმასაც მეტყვიან, ასე იოლად ფულს ვინ არიგებს, ძალიან დავუმადლებ, ხოლო ცოტას მეც თუ მიწილადებენ (თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ანალიტიკური ყოველდღიური გაზეთის დასაფინანსებლად!), გეფიცებით, კედლიდან პაპაჩემის სურათს ჩამოვხსნი და იქ გრეჩიხას პაპის გადიდებულ ფოტოს ჩამოვკიდებ.

მოკლედ, გასულ კვირაში ხელისუფლებამ დაიწყო ნადირობა ოპოზიციის „ოქროზე“, რომელიც, ჯერჯერობით, ოპოზიციას არ გააჩნია. თუმცა, ფულის არსებობას ხელისუფლებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს – მთავარია, ამომრჩეველმა იცოდეს, რომ სადღაც არსებობს „შავი ფული“ და მის აღმოსაჩენად დღედაღამ იბრძვიან კარგი ბიჭები პრეზიდენტის „ჩემი გუნდიდან“.



კარგი ბიჭები ჩვენი სულების გადასარჩენადაც იბრძვიან – უცხოური წარმომავლობის საეჭვო ფულით დაფინანსებული ოპოზიცია, თურმე, სულსაც წაიწყმედს და ქვეყანასაც, ბოროტების გარდა, არაფერს მოუტანს!

ლოგიკა თითქმის უნაკლოა. ოღონდ, მოდი, ვკითხოთ კარგ ბიჭებს, რომლებიც იმიტომ არიან „კარგი“, რომ ასე სურს პრეზიდენტ სააკაშვილს:

– ჩემო აკაკი (გოკა, კობა, პეტრე, ეკა, შოთა, ხათუნა...) ხომ არ იცი, რა ფულით დაფინანსდა 2003 წლის 23 ნოემბრის „ვარდების რევოლუცია“? ვინ უხდიდა ხელფასს ქართულ რევოლუციურ ხელისუფლებას?..

გამობრძმედილმა ყმაწვილმა პოლიტიკოსმა ნაცების გუნდიდან აკაკი მინაშვილმა ტელეწამყვანს ჯიქურ ჰკითხა – შენ დაელაპარაკებოდი ვლადიმერ პუტინს?

ეჰ, აკაკი, აკაკი!.. თქვენ და თქვენს მეგობრებს პარლამენტიდან, რაოდენობრივი უპირატესობის გარდა, ცოდნა, გამოცდილება, სინდისი და ცოტა (სულ ცოტა!) ჭკუაც რომ გქონდეთ, ამ კითხვას არ დასვამდით – თუ თავი პოლიტიკოსად მიგაჩნია, შენი ქვეყნის, შენი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, მოსისხლე მტერსაც უნდა ელაპარაკო. ელაპარაკო კი არა, თავზე ნაცარი უნდა წაიყარო და მუხლებში ჩაუვარდე. ასეთია პატიოსანი პოლიტიკოსის ხვედრი.

## საფრთხობელა

საფრთხობელის როლისთვის ედუარდ შევარდნაძის კოლორიტულმა ფიგურამ არ გაამართლა – თოვლის პაპად გადაიქცა; „დერჟიმორდა“ ირაკლი ოქრუაშვილმა არ გაამართლა – ძალიან ახლოს იდგა თავის პატრონთან, მიშა სააკაშვილთან; „კრასავჩიკმა“ იგორ გიორგაძემ არ გაამართლა – ისიც ძალიან ახლოს იდგა თავის პატრონთან, ვლადიმერ პუტინთან; ბიზნესმენმა ალექსანდრე ებრალიძემ არ გაამართლა – ძალიან შორს იდგა საღი აზრისგან;

იხ. 5 გვ.

## ◎ ფიქრები — ხმამაღლა

# ბერლინში შევკრათ პირობა...

(მესამე გვერდიდან)

კახა თარგამაძე კვირა საღამოს ინგა გრიგოლიას გადაცემაში გამოჩნდა. სცადა მსმენელი დაერწმუნებინა, რომ არასოდეს, მით უმეტეს ახლა, საქართველოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ნაბიჯი არ გადაუდგამს, რუსეთში ცხოვრების მანძილზე სახელმწიფო სამსახურში არ უმუშავია. ამ ხელისუფლების მიმართ დანაშაული მხოლოდ ის მაქვს, რომ თანამდებობიდან წასვლისას ვთქვი, ეს ხალხი დაღუპავს-მეთქი ქვეყანას და ნათქვამი ამიხდა კიდეცო.

ბერლინთან დაკავშირებით ექსმინისტრმა განაცხადა: იქ ფარულად არ შევხვედრივართ ერთმანეთს, მე იმ სასტუმროში ვცხოვრობდი... ვხედავდი კიდეც, როგორ გვილებდნენ, მაგრამ დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, რას ვიფიქრებდი, რომ ამხელა ხმაურს ატეხავდნენ. ლაპარაკი გვქონდა იმაზე, თუ როგორ ხედავენ ისინი საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას. მთავარი მიზანი შეხვედრისა კი ეს იყო: **ლევანი გავაფრთხილე, რომ მის წინააღმდეგ მზადდება რაღაც ღონისძიებები, პროვოკაცია. საფრთხე რეალურია, მაქვს სერიოზული ინფორმაციები...**

ბატონი კახა კიდევ ბევრის თქმას აპირებდა, მაგრამ ინგა გრიგოლია რატომღაც დადარაჯებული იყო და როგორც კი პირს გააღებდა, მაშინვე მიმინოსავით მიაფრინდებოდა ცხვირ-პირში.

თუმცა რკინის კაცმა მაინც მოასწრო რაღაც-რაღაცეების თქმა.

კიდევ ეს უნდოდა ჩვენს ისედაც ჩადალმართებულ ოპოზიციას? თითქოს არაფერი: სადღაც ერთმანეთს შეხვდნენ ქართველები, დასხდნენ, ილაპარაკეს და მშვიდობიანად წავიდ-წამოვიდნენ.

მაგრამ ნათქვამია, ერთი თხისკენ და მეორე მგლისკენო. გინდაარ გინდა მაინც რაღაც გაურკვევლობისა და უსიამოვნების გრძნობას გიტოვებს გერმანიის დედაქალაქში გამართული ის საიდუმლო სერობა.

ქალბატონი ნინო ბურჯანაძის გამეხებული სახე მახსენდება, როცა ამ შეხვედრის თაობაზე კომენტარი სთხოვეს — არც ვიცოდი და არც ვიწონებო — დაახლოებით ასე.

ბოლოს და ბოლოს, რევოლუციები და გადატრიალებები, უმეტესწილად სხვა სახელმწიფოების ფულით ხდება და არა ლარ-ლარ აკრეფილი საწევროებით.

არც არაფერი იმალება. ხომ გაირკვა, რომ ოქტომბრის რევოლუცია კაიზერის გერმანიამ დააფინანსა, ხოლო ჩვენი მშობლიური „ვარდების რევოლუცია“ სოროსის ფულით (იქნებ იმას დამატებული აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის დოლარებითაცძ ვიზეიმეთ.

ამიტომაც აფორიაქებს ჩვენს ხელისუფლებას ყოველი ასეთი ბერლინი, ამიტომაც აშინებს ნებისმიერი ფულის წყაროს გამოჩენა. ჯერ — ბადრი პატარკაციშვილი, ახლა ებრალიძე თუ თარგამაძე და K°. რძით პირდამწვარი დოს უბერავდაო, ნათქვამია.

ისე, რაღაც ფულს რომ ეძებს და ჰპირდებიან კიდეც, ამას არც მალავს ლევან გაჩეჩილაძე, არც იმას, რომ ამ ძიების მიმართულება ძირითადად უცხოეთში მოღვაწე ქართველებზეა გათვლილი.

ამით თითქოს ერთგვარი შედარების საშუალება გვეძლევა,: იქ — სოროსი, აქ — ჩვენებურები, იქ — ბარაბას გზა, აქ — ქრისტეს გზა...

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ საქმე ის არის, რომ რევოლუციები ასე არ კეთდება. არიქა, სარევოლუციო ფულისთვის ვიყავი წასულიო, არავინ ყვირის გზაჯვარედინზე. „ვარდების რევოლუცია“ უცხოური ფულით რომ მოეწყო, კი ვვარაუდობდით, მაგრამ სანამ თვით სოროსმა არ თქვა, მე გამოგჭერით ყელიო, ვინ იცოდა, რომ სწორედ ის იყო ჩვენი გამბედნიერებელი?

ჩვენმა ოპოზიციამ, როგორც ჩანს, არ იცის კონსპირაცია. ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ არ იცის რევოლუციის ხელმძღვანელობა, უფრო სწორად, არ იცის რევოლუციის კეთება.

მან ვერ შეძლო იმის გასიგრძეგანებაც, რომ დღევანდელი შსს ძირეულად განსხვავდება ვარდებამდელისგან, და ბევრად უფრო საშიშიც (საფრთხილოცძ არის. ბატონი ვანო მერაბიშვილი მყარად ჩამოყალიბდა ჟოზეფ ფუშედ. იგი სხვაზე უფრო **მოაზროვნეა თავის უწყებაში და მზერაც ყველაზე სწორი აქვს.** გაიხსენეთ ვალერი გელბახიანის (და ბადრი პატარკაციშვილისძ ვიდეოჩანაწერი, ახლახან — ვითომ იარაღის შეძენის კადრები... ანუ, ტექნიკური საშუალებებიც უკეთესი აქვთ და მაღალც. ისე რომ, ვანო ფუშეს გაუთვალისწინებლობა-უგულებელყოფა არამც და არამც არ ეგების.

ერთი დაკვირვება: „ვარდების რევოლუციამ“ მრავალს გაუღვივა იმედი და სურვილი. ეს რა იოლი ყოფილაო: ჩაჯდები წალენჯიხაში ავტობუსში, დალევ თბილისში ჩაის და მორჩა.

არ იყო და არ არის ასე იოლად საქმე. ჯერ ერთი, სააკაშვილი ალიარებული, გამოკვეთილი ლიდერი გახლდათ მაშინდელი ოპოზიციისა, მას უდავოდ ჰქონდა ქარიზმა, ჰქონდა მოქმედების ნაფიქრი, დალაგებული გეგმა (ალბათ უფრო ვინმე დასავლელი სუფლიორის კარნახით. მაგრამ რატომ არ გამოძებნეს აქამდე ჩვენმა ოპოზიციონერებმა ასეთი მოკარნახე და დირიჟორი?ძ, მან იცოდა რა უნდა გაეკეთებინა ხვალ და აკეთებდა კიდეც!

ჩვენმა ოპოზიციამ კი 26 მაისს სტადიონზე და მის გარშემო 80-100 ათასი კაცი შეკრიბა და ის ვერ გაარკვია, მერე რა უნდა ექნა.

ამიტომ იქცა ის აღმატებული დღე დალმასვლის ნიშანსვეტად...

ამდენად, ჩვენს ლიდერებს მხოლოდ ფული როდი აქვთ საშოვნელი (ისე, კაი გვიან დაუწყიათ ფულის ძიებაძ.

ღმერთმა არ ქნას, ბოლო საშუალებაღა დაგვრჩეს გამარჯვების მისაღწევად: ზვიად ძიძიგურს ისევ გადავაკეტინოთ რკინიგზა სამტრედიაში და არა მარტო ნაცმოძრაობა,ბლოკირებული რუსეთიც ხელახლა დავაჩოქებინოთ...

**ალეკო ასლანიშვილი**

## ◎ მოლოდინი

***ოპოზიცია ამჯერადაც დამარცხდა. მისი ლოზუნგი — „გადადგეს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი“ ისევ ლოზუნგად რჩება. ოპოზიციამ ორთვიანი საპროტესტო აქციებით ხელისუფლებას დედაქალაქი წაართვა, მაგრამ ამ ეიფორიამაც ალბათ, უკვე გაუარა მათ ლიდერებს, რადგან დედაქალაქს და მის სახელისუფლებო ინსტიტუტებს, დღეს სწორედაც რომ ხელისუფლება აკონტროლებს.***

***ამ ვითარების შეფასება ვთხოვეთ ჟურნალისტ ია ანთაძეს.***

მისი თქმით, 9 აპრილს ოპოზიციისა და მისი სამომავლო სტრატეგიისა თუ ტაქტიკური ნაბიჯების მიმართ უფრო მეტი და მაღალი ხარისხის მოლოდინი იყო, ვიდრე შედეგების მიხედვით აღმოჩნდა:



# ოპოზიციური მუხტის ჩაქრობას ძლიერი რეპრესიული მანქანის ამოქმედება დასჭირდება

## ხალხს ჯერ თავისი სიტყვა არ უთქვამს

— 9 აპრილს ოპოზიცია ქუჩაში გამოვიდა ერთადერთი მოთხოვნით, გადამდგარიყო მიხეილ სააკაშვილი, დღეს ვხედავთ, რომ მიხეილ სააკაშვილი არ გადამდგარა. თუ ხელისუფლება თავიდან ვერ აკონტროლებდა მთავარ სახელისუფლებო დაწესებულებებს და ქუჩის პროცესებს, დღეს ეს კონტროლი თავიდან ბოლომდე აღდგენილია.

თუმცაღა, მეორე მხრივ, აუცილებლად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების წარმატებებზე საუბარი ზედმეტია და რომ მას სჭირდება სტაბილურობა. პრეზიდენტი და მასთან დაახლოებული გარემოცვა ფიქრობდა, რომ ისინი შეძლებდნენ 9 აპრილის პროტესტის როგორღაც მშვიდ გარემოში გადატარებას და ისეთი ვითარების შექმნას, როდესაც ხალხი ქუჩაში მინიმუმ ერთი წლის და წელიწადნახევრის განმავლობაში მაინც აღარ გამოვიდოდა, მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს.

იმის მიუხედავად, რომ დღეს საპროტესტო მუხტი ფაქტობრივად დათითოკაცებულია, ოჯახებში გადაინაცვლა და ქუჩაში აღარაა გამოფენილი, ნებისმიერ დროს ისევ შეიძლება, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს, რადგან ვითარება ვერ განიმუხტა.

**— ფორმალურად თითქოს ეს განმუხტვა მოხერხდა...**

— დიახ, მხოლოდ ფორმალურად. თუ შინაარსს ჩავუღრმავდებით, სულ სხვა ვითარებაა. ამ განმუხტვისთვის ერთი რამაა აუცილებელი — ხელისუფლება უნდა წასულიყო სერიოზულ დათმობაზე, მაგრამ მან მოინდომა ვითარების განმუხტვა დათმობების გარეშე. დაუთმობლად ვითარების განმუხტვას კი სერიოზული რეპრესიები სჭირდება, რომლის რესურსი ხელისუფლებას, ვფიქრობ, არ აქვს.

დღეს ასეთი ვითარებაა — ოპოზიცია აშკარად დამარცხებულია თავისი საპროტესტო ტალღის მიხედვით, რომელიც დაიწყო 9 აპრილს და რომლის კულმინაცია იყო 26 მაისი. მაგრამ საპროტესტო მუხტი საზოგადოებაში ისევ არსებობს, როგორც არსებობდა 9 აპრილს და 26 მაისს. ეს მუხტი არსად წასულა, უბრალოდ დანაწევრებულია.

ამიტომ ერთი მხრივ, ხელისუფლება მოგებულია, რადგან მან აღადგინა კონტროლი მთლიანად მოვლენების განვითარებაზე, მაგრამ მეორე მხრივ, მან ვერ განმუხტა ვითარება, რომელიც ისევ ფეთქებადსაშიში რჩება.

**— ოპოზიციის ლიდერებისა და კახა თარგამაძის შეხვედრის ჩანაწერის გამოქვეყნების შემდეგ, როგორი იქნება თქვენი პროგნოზი, რა შეიძლება მოხდეს ახლო მომავალში?**

— რა შეიძლება მოხდეს? ეს ცოტა ძნელად პროგნოზირებადია, რადგან ოპოზიციის დღვანდელ შემადგენლობაში მართლა არ ჩანს ლიდერი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად მიხეილ სააკაშვილის საპირწონე იქნებოდა. დაახლოებით ერთი კვირის წინათ რადიო „თავისუფლების“ ვებგვერდზე გამოვაქვეყნე სტატია „გვეშველება რამე?“ იქ პირდაპირ ვამბობ, რომ ძალიან მალე ალბათ მოხდება რაღაც ისეთი, რაც სერიოზული დარტყმა იქნება ან ოპოზიციისთვის ან ხელისუფლებისთვის“. სწორედ მაშინ აშკარად ისეთი ვითარება იყო, რომელიც ფორმალურ განმუხტვას ითხოვდა.

ჩვენ ხომ ვთქვით, ხომ ფორმალურად ხელისუფლება მოგებულია. ერთი კვირის წინათ ეს ჯერ კიდევ არ ჩანდა და ზუსტად რამდენიმე დღის წინათ დაიდო ის ჩანაწერები, სადაც პირდაპირ ჩანს, რომ ოპოზიციის ყველაზე პოპულარული ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე ბერლინში ხვდება ძალზე არაპოპულარულ და ოდიოზურ ფიგურას, შსს ყოფილ მინისტრს კახა თარგამაძეს. ეს ნამდვილად განმუხტვა იყო, რადგან ის ადამიანები, რომლებიც იმედით შეჰყურებდნენ ოპოზიციას (ყველას არ ვგულისხმობძ, ნამდვილად განხიბლული არიან.

**თუ ჩვენ გვინდა დიდი ცვლილებები ჩვენს ქვეყანაში, კახა თარგამაძისა და მისი მსგავსი ფიგურების პროცესებში ჩართვით ეს არ მოხერხდება. ამისთვის თვისობრივად სხვანაირი ოპოზიციაა საჭირო.**

ჩემი აზრით, ჩანაწერებმა საკმაოდ სერიოზული დარტყმა მიაყენა ოპოზიციას. ამიტომ მომავალში რა მოხდება, ეს აღარაა ადვილად საპროგნოზო ამბავი.

იდეალური იქნებოდა ის, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ახალი ოპოზიციური ძალა წარმოშობილიყო — უფრო ჯანსაღი და უფრო მეტად ორიენტირებული საზოგადოებრივ ინტერესებზე, და რაც მთავარია, საზოგადოების მეტი ნდობით აღჭურვილი.

აი, ასეთი ძალა რომ შექმნილიყო, რომელსაც არ ვიცი ფინანსები საიდან უნდა მოეტანა (რაც ძალიან დიდი პრობლემაა ჩვენს ქვეყანაშიძ, მაშინ შესაძლებელი იყო საუბარი იმაზე, სად შეიძლებოდა ოპოზიციური მუხტის თავმოყრა.

მაგრამ რაკი ასეთი ძალა ჰორიზონტზეც კი არ ჩანს, არა მგონია, მომავალში კიდევ რაიმე არსებითი მოხდეს. **ოპოზიციური მუხტის ჩასაქრობად, ხელისუფლება ეცდება, ნელ-ნელა, დაჭერებით და საშუალო დონის რეპრესიებით მიაღწიოს მიზანს. მაგრამ ეს ხანგრძლივი პროცესია და სერიოზული, ძლიერი რეპრესიული მანქანის ამოქმედება დასჭირდება. არ ვიცი, ხელისუფლება წავა თუ არა ამაზე.**

**— მაგრამ რეპრესიები უკვე დაწყებულია...**

— ამჯერად რაც ხდება, ესაა საკმაოდ წესიერი ხალხის დაჭერები რაიონებში. მაგალითად, გორში მეგობრები მყავს, რომელთაც დამირეკეს და მითხრეს, რომ ორი ისეთი ახალგაზრდაა დაპატიმრებული, რომელთა კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებაში ეჭვი არავის ეპარება. წარმოუდგენელია, რომ იმ ახალგაზრდებს ნარკოტიკი და იარაღი უპოვეს.

ამგვარი რეპრესიებით, რაც გულისხმობს ოპოზიციის რესურსის როგორღაც დაცოტავებას, მხოლოდ საშუალო ლიდერების დაჭერას და მისთვის დარტყმების მიყენებას რეგიონებში, რა თქმა უნდა, ამით ოპოზიციური მუხტი არ გაქრება, პირიქით კი შეიძლება მოხდეს. ამას დროებით მოჰყვება სიტუაციის განმუხტვა და სტაბილურობის მიღწევა.

**ია ანთაძის თქმით, მიხეილ სააკაშვილმა ყველაზე კარგად იცის, რომ 9 აპრილს დაწყებული პროტესტის ტალღა ერთგვარად გადაავორა, მაგრამ — ფორმალურად: „ოპოზიციას ბოლომდე არ გაუანალიზებია, რას აპირებდა, როდის, რა ვადებში: უნდა მიეღწია რაღაც კონკრეტული მიზნისთვის. ამიტომ აღმოჩნდა მისი საპროტესტო მოძრაობა დამარცხებული. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხალხიც დამარცხებულია. ხალხი ჯერ არ დამარცხებულა და თავისი სიტყვა არ უთქვამს.**

**ჩვენი საზოგადოების პრობლემა ისაა, რომ ვერ წარმოვშვით ისეთი ხელისუფლება, რომელსაც ნდობა ექნებოდა, — და ვერც ისეთი ოპოზიცია, — რომელსაც ასევე ექნებოდა ნდობა“.**

**ია ანთაძის აზრით, საზოგადოებამ ჯერჯერობით ვერ წარმოშვა ჯანსაღი ძალები პროცესების სათავეში, რომელთაც ექნებოდათ უფრო მეტი ქმედითუნარიანობა, ვიდრე დღევანდელ ხელისუფლებას და ოპოზიციას აქვს.**

ესაუბრა

**თამარ შაიშმელაშვილი**

# სახელმწიფოებრივი საფრთხობელა

№ 131. სამშაბათი, 30 ივნისი, 2009 წელი.

◉ გრანდიოზული ჭორაობა

(მესამე გვერდიდან)



## კახა მოიდა!..

თვით ლეიბორისტმა (მშრომელმა) შალვამაც კი არ გაამართლა, რადგან მისი პიროვნებით ხალხის დაფრთხობის იდეა ძალიან შორს იდგა, საერთოდ, ნებისმიერი აზრისგან.

და, აი, გამოჩნდა კაცი, ვინც ქართული ხელისუფლება ამ დარდისგან იხსნა — 55 წლის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთის მოქალაქე და რუსეთში მოღვაწე კახა მამიევიჩი (თარგამაძე). თუმცა, ხელისუფლების დამსახურება ამ მართლაც მშვენიერი სასაფრთხობელო მასალის აღმოჩენაში მინიმალურია — პროექტის ავტორობა სრული ასი პროცენტით ეკუთვნის ოპოზიციას, კერძოდ, გაჩეჩილაძე-გამყრელიძის დუეტს.

ვანოს ბიჭებსაც წყალში ნუ ჩავუყრით ნაამაგარს — ბერლინის ერთ-ერთი სასტუმროს ფოიეში გაჩეჩილაძე-გამყრელიძე-თარგამაძის „საიდუმლო“ შეხვედრის ვიდეორეპორტაჟი, სავარაუდოდ, სწორედ მათ მოემზადებინათ.

### გივიმ თქვა...

რას არ მოესწრები კაცი! სწორედ გასულ კვირაში აღმოვაჩინე, რომ თანამედროვე საქართველომ არჩევანი სამ თარგამაძეს (გიორგი, გივი, კახა) შორის უნდა გააკეთოს — მეტისმეტად დიდი პატივია სამტრედიის რაიონის პატარა სოფელ ნიგორზღვისთვის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამავე რაიონმა ქართულ პოლიტიკას მისცა კიდევ ძმები ძიძიგურები, თემურ ქორიძე და ინგა გრიგოლია, ახლო მომავალში სამტრედიის გავლით ვანში ზღვის დაბრუნების თეორია ლოგიკას მოკლებული არ უნდა იყოს.



პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ ჩვეული ენამჭევრობით გვამცნო, იმ ნაძირალა კახა თარგამაძემ თავისი შს მინისტრობის განმავლობაში 800 მილიონი დოლარი „მოტეხაო!“ მართლაც ფრიად შთამბეჭდავი ციფრია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ თარგამაძის მინისტრობისას ექვსი წლის განმავლობაში შს სამინისტროს დაფინანსება 150 მილიონ დოლარს არ აღემატება (ექვს წელიწადში 150!). ეს კახას გარდა გივიმაც იცის. ამიტომაც ბიძაშვილს მხოლოდ ხაზინის ქურდობა კი არა, ნარკობარონობაც დააბრალა — მინისტრი თარგამაძე საქართველოში ნარკოტრასებს აკონტროლებდაო, თანაც, მისი მინისტრობისას, ხალხი თბილისის შს მთავარი სამმართველოს ფანჯრებიდან პანტაპუნტით ცვიოდაო.

ზოგი ცხვრისკენ და ზოგიც მგლისკენო, ნათქვამია — მე ბევრჯერ მწარედ გამიკრიტიკებია კახა თარგამაძე და მისი უწყება. ეს მაშინ იყო, როცა დღევანდელი ოპონენტები კახას თვალებში შესციცინებდნენ და მარადიულ მეგობრობას ეფიცებოდნენ. რომ შეეძლოს, ახლაც სიამოვნებით შეხვდებოდი და, დარწმუნებული ვარ, ბევრ საინტერესო ამბავსაც შეგატყობინებდით.

კახა თარგამაძე რუსეთის მოქალაქეა და რუსეთში მოღვაწეობს. მისთვის საქართველოში ბრალი არ წაუყენებიათ (თუმცა, ამის მცდელობები იყო) და, შესაბამისად, არ არის ძებნილი; კახა თარგამაძეს არ დაურბევია მშვიდობიანი მიტინგი; თავის დროზე, იგი ოპოზიციის მოთხოვნით თანამდებობიდან გადადგა და ამით თავიდან აიცილა მოსალოდნელი სამოქალაქო დაპირისპირება. მისი მინისტრობისას ციხეში იჯდა დაახლოებით 4,5-4,9 ათასი მსჯავრდებული; იყო პროფესიონალი „ოპერატივნიკი“ — განვლო გზა სტაჟიორიდან გენერალ-ლეიტენანტამდე. სხვათა შორის, კახა თარგამაძე იყო შს სამინისტროს რეორგანიზაციის (რეფორმის) ერთ-ერთი ინიციატორი. კერძოდ, რეფორმა მიზნად ისახავდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცალკე უწყებად ჩამოყალიბებას, სამინისტროს დაქვემდებარებიდან წინასწარი გამოძიებისა და ოპერატიული სამსახურების გამოყვანას, მუნიციპალური პოლიციის შექმნას და სხვა. ეს რეფორმები მაშინ ვერ განხორციელდა პარლამენტის „არაფორმალური“ წინააღმდეგობის გამო.

კახა თარგამაძის პერსონისადმი სახელისუფლო ინტერესი ოპოზიციის შესაძლო დაფინანსება არ უნდა იყოს. ალბათ, უფრო სწორი იქნება ის ვერსია, რაც 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დაგეგმვა-დაფინანსება-განხორციელების ტექნოლოგიებსა და მთავარ მონაწილეთა შესახებ დღემდე გასაიდუმლოებულ ინფორმაციებს ეხება. ბუნებრივია, ინფორმაციების გათქმა არ შედის ბევრი დღევანდელი ქართველი პოლიტიკოსის გეგმებში. კახა თარგამაძეს რომ ბევრი საინტერესო გაუხმაურებელი ფაქტი ეცოდინება, ამას წყალი არ გაუვა. ხელისუფლება მისი თავზეხელაღებული ლანძღვით თადარიგს იჭერს, რათა ხვალ გულმშვიდად განაცხადოს, ამ კაცის ნათქვამს ფასი არა აქვსო.

საინტერესოა, რომ გასულ კვირას, გაგანია „ანტიკახასტური“ ბაკქანალიისას, კახა თარგამაძის ინტელიგენტი მემკვიდრე ვანო მერაბიშვილი გადაუდებელი საქმეების მოსაგვარებლად ამერიკის შეერთებულ შტატებს სტუმრობდა. ასეა, ზოგი ფულს და მფარველს ევროპაში ეძებს, ზოგი — ამერიკაში.

### დიდი მოურავიდან პატარა გიგიმდე

გაგიკვირდებათ და, გასულ კვირაში თბილისის მერიის პირდაპირი არჩევის ინიციატივით გამოვიდა თბილისის მერად პრეზიდენტის მიერ დანიშნული გიგი უგულავა. მართლაც დროული და შესანიშნავი ინიციატივაა, მით უფრო, დემოკრატიულ სამყაროში არ მეგულება ქვეყანა, სადაც მერებს, გუბერნატორებს და სოფლის მამასახლისებს პრეზიდენტი ნიშნავდეს. რაც შეეხება თბილისს, მისი ბოლო (ცნობილი) დანიშნული მერი (მაშინ ამ თანამდებობას მოურავი ერქვა) იყო სახელგანთქმული გიორგი სიაუშის ძე სააკაძე. რიტუალური გამარჯვებების მოტრფიალე პრეზიდენტმა სააკაშვილმა იმ ისტორიული დანიშვნიდან 400 წლის შემდეგ თბილისის მოურავად დანიშნა ყმაწვილი გიგი, რომლის დამსახურება ერის და სამშობლოს წინაშე „კმარაში“ აქტიურობა იყო. მას შემდეგ, ეტყობა, პატარა მოურავი პოლიტიკურად ძალიან გაიზარდა. ისიც შეიტყო, რომ მერებს ამერიკის პრეზიდენტიც კი არ ნიშნავდა და ახალი ინიციატივაც იშვა! იმედია, ბატონი პრეზიდენტი არ დაგვღუპავს და არ გაიზიარებს მამაცი გიგის გმირულ ინიციატივას — ჩვენ, უგუნურმა თბილისელმა ამომრჩევლებმა მერად ვინმე მარკოზაშვილი რომ ავირჩიოთ, რაღა გვეშველება?

თანაც, მგონი, კახაც მოიდა!

**თეიმურაზ ქორიძე.**

***P. S.*** *რაც გინდათ თქვით და, კახა თარგამაძის სახიანი საფრთხობელა მართლაც დიდებული გამოგონებაა ხალხის ყურადღების მთავარიდან მეორეხარისხოვანზე გადასატანად. ეტყობა, ჩვენი ხელისუფლება რუსეთთან ახალ ომს აპირებს, რომ მისთვის საქართველოს დარჩენილი ტერიტორიების ჩაბარებას იურიდიული გამართლება მოუძებნოს.*

*ამასობაში კი ძლევამოსილმა რუსეთმა (რომელიც ჩვენს ხელისუფლებას თვალში არ მოსდის), კიდევ ერთხელ განაცხადა უარი საქართველოში ევროკავშირის მისიის გაგრძელებაზე. ესეც, ალბათ, ჩვენი დიპლომატიის მორიგი დიდი გამარჯვებაა!*

*თ. ქ.*

◉ ინფორმაცია

### არშბამ ბუთბა დააპატიმრა

აფხაზეთში ე.წ. სპეცრაზმის ყოფილი უფროსი ვალმერ ბუთბა დააკავეს. ამის შესახებ „რეგნუმი“ იუწყება.

ბუთბა იარაღის უკანონოდ ტარებისთვის 26 ივნისს, 12:30 საათზე ოჩამჩირესთან, ოხურეის პოსტზე იმ დროს დააკავეს, როცა გალის რაიონიდან ბრუნდებოდა.

აფხაზური სპეცსამსახურის ერთ-ერთი შემქმნელის, აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილისა და „ეკონომიკური განვითარების პარტიის“ წევრის დაპატიმრების გამო აფხაზურმა ოპოზიციამ ე.წ. პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს წერილით მიმართა და მისი დაუყოვნებლივი გათავისუფლება მოითხოვა.

წერილში ნათქვამია, რომ დაკავების მომენტში ბუთბა „ეკონომიკური განვითარების პარტიის“ თავმჯდომარეს ახლდა თან. ისინი გალში პარტიის აქტივს შეხვდნენ. აქვე აღნიშნულია, რომ ბუთბა კომუფლირებულ ფორმაში ჩაცმული, შეიარაღებული ადამიანების ჯგუფმა დააკავა, რომელსაც აფხაზეთის შსს-ს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი არშბა ხელმძღვანელობდა.

იარაღის ტარებას კი, აფხაზური ოპოზიცია იმ მოტივით ხსნის, რომ გალის რაიონი სახიფათო ზონაა, ბუთბა კი, რომელსაც არაერთხელ დაესხნენ თავს დავით შენგელიას ტყის ძმები, იძულებული იყო, უსაფრთხოების დამატებითი ზომები მიეღო.

### „ობიექტივი“ დარბევებისა და უკანონობის წინააღმდეგ

ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი“ 15 ივნისის დარბევასთან დაკავშირებით დამოუკიდებელ ჟურნალისტურ გამოძიებას იწყებს.

— საგამოძიებო ჯგუფში, რომელიც ამ გამოძიებაში მიიღებს მონაწილეობას ქართველ ჟურნალისტებთან ერთად, უცხოელი კოლეგებიც არიან გაერთიანებულნი, რომლებმაც ჟურნალისტურ გამოძიებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს და თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი დარბევისას ე.წ. ზონდერებმა ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ სამი ვიდეოკამერა დაამტვრიეს“, — ნათქვამია განცხადებაში.

ინფორმაციით განადგურებულია „ობიექტივის“ ვიდეომასალა, სადაც ძალოვანთა უკანონო ქმედებები და მშვიდობიანი მომიტინგეების უმოწყალო დარბევა იყო ასახული.

— უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ჩვენ, ჟურნალისტთა კავშირის „ობიექტივის“ წევრებმა ვიდეოკამერების დაბრუნების მოთხოვნით არაერთგზის მივმართეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ წარმომადგენელს ზურაბ გვენეტაძეს. გვენეტაძე განმარტავს, რომ „ობიექტივის“ სამი ვიდეოკამერა პოლიციას დარბევის ადგილზე არ აღმოუჩენია, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. არა მარტო 15 ივნისის აქციის მონაწილეების, არამედ პოლიციის ეზოში შეკრებილი ძალოვანებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ ჟურნალისტი ირმა ინაშვილი იმ დღეს უშუალოდ იღებდა მასალას გახმაურებული დოკუმენტური ფილმისთვის, ხოლო მისი ორი ოპერატორი, ასევე, მუშაობდა პოლიციის სამმართველოს მიმდებარე ტერიტორიაზე, — ნათქვამია განცხადებაში.

ჟურნალისტთა კავშირის წევრები მიიჩნევენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ წინააღმდეგ განსაკუთრებულ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ახორციელებს,

ჟურნალისტთა კავშირი მიიჩნევს, რომ ირმა ინაშვილზე ფიზიკური ანგარიშსწორება „ობიექტივის“ მიერ ტელეკომპანია „ალანიასთან“ აქციების ორგანიზების გამოც მოხდა.

„ობიექტივის“ ინფორმაციით “ალანია“ შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებრივი ტელევიზიაა და ის ხელისუფლებამ ვარდების რევოლუციის შემდეგ, ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივს“ წაართვა.

„ვიდეოკამერების განადგურების შემდეგ, პრაქტიკულად შეჩერებულია დოკუმენტური ფილმის გადაღების პროცესი, ანუ ხელოვნურად ფერხდება ჩვენი ჟურნალისტური საქმიანობა. ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი“ მიმართავს კოლეგებს, გამოეხმაურონ ამ განცხადებას, საჯაროდ დააფიქსირონ პროტესტი და გამოხატონ სოლიდარობა, — ნათქვამია განაცახადებაში.

### სასწრაფოდ უნდა გადაიხედოს გაზის სატარიფო პოლიტიკა

„ქრისტიან-დემოკრატები“ მაღალი რისკის ზონაში მყოფი საგარეჯოს რაიონის მოსახლეობისთვის გაზის სატარიფო პოლიტიკის სასწრაფო გადახედვას ითხოვენ.

ამასთან დაკავშირებით გუშინდელ პრესკონფერენციაზე ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანმა ისაუბრა და აღნიშნა, რომ აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს ის უმძიმესი პირობა, რომელშიც საგარეჯოს რაიონის მოსახლეობას უწევს ცხოვრება.

„ქრისტიან-დემოკრატები“ ითხოვენ, შემუშავდეს შეღავათიანი რეჟიმი და საგარეჯოს რაიონში ტარიფის გაორმაგების პროცესი შეჩერდეს.

ახვლედიანმა აღნიშნა, რომ საგარეჯოში გაზისა და ნავთობის საბადოებია განთავსებული, რამაც რეგიონში უმძიმესი ეკოლოგიური მდგომარეობა შექმნა, განსაკუთრებით კი — 2004 წელს მომხდარი ავარიისა და ნავთობის ამოფრქვევის შემდეგ. დაბინძურებულია ნიადაგი, წყალი, ჰაერი, ტყე და, რაც ყველაზე საგანგაშოა, გაიზარდა ონკოლოგიური ავადმყოფების რიცხვი.

— საბადოების ზონაში განთავსებული სოფლების მოსახლეობამ 2004 წლიდან არაერთი დაპირება მიიღო ენერგეტიკის სამინისტროსგან, რომ გაზს უფასოდ მიიღებდნენ. თუმცა, როგორც წესი, დაპირება არ შესრულდა. მეტიც, თუ 2009 წლამდე 1 კბ.მ აირში მოსახლეობა 10,5 თეთრს იხდიდა, 2009 წლიდან გადასახადი 25 თეთრამდე გაიზარდა, ხოლო 1 ივლისიდან 45 თეთრი უნდა გახდეს, — განაცხადა გირგი ახვლედიანმა.

ამასთან, როგორც ფრაქციაში აღნიშნავენ, საგარეჯოს მოსახლეობა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის საბადოებზე ცხოვრებონ, იღებენ არა საგარეჯოს, არამედ აზერბაიჯანის კომერციულ აირს, რაც, დეპუტატების შეფასებით, ასევე, გაუმართლებელია.

### პატიმრების შრომითი ანაზღაურებიდან მინიმალურ გადასახადებს გადაიხდიან

პატიმრების შრომითი ანაზღაურების თანხა მხოლოდ საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრება, — ამის შესახებ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, პატიმრებს ეხსნებათ სხვა გადასახადები, რასაც აქამდე იხდიდნენ.

— შემოსავლის 30 პროცენტი სხვადასხვა გადასახადებში მიდიოდა. დანარჩენი თანხა კი მათ რჩებოდათ. პატიმრობის კანონში შესაბამისი ცვლილებები შედის, რომლის მიხედვითაც, პატიმრები, ჩვეულებრივი ადამიანების მსგავსად, მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს გადაიხდიან, — განმარტა მინისტრმა.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პავლე კუბლაშვილის განცხადებით კი, პატიმრებს უწევდათ საპატიმრო პირობების გაუმჯობესებისა და სხვადასხვა გადასახადების გადახდა, რაც ჯამში მათი ანაზღაურების 30 პროცენტს წარმოადგენდა.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

◉ თვალსაზრისი

*ხელისუფლება-ოპოზიციას შორის სამთვიანი დაპირისპირების შედეგებსა და მათ შორის დღეისთვის ჩამოყალიბებულ ვითარებაზე, ასევე, საგარეო საფრთხეების ფონზე შემოდგომაზე ოპოზიციის სავარაუდო გააქტიურების შესაძლებლობაზე „ინტერპრეს ნიუსს“ ესაუბრა ფსიქოლოგი **ნოდარ სარჯველაძე**.*





# ნოდარ სარჯველაძე: ოპოზიციის მარცხის ძირითადი მიზეზი პოლიტიკური უალტერნატივობაა

**— ბატონო ნოდარ, ხელისუფლება-ოპოზიციის მკვეთრი დაპირისპირება თითქოს ჩაცხრა, სპორტული ტერმინით რომ ვისარგებლოდ, ჯერ ფრეა თუ.. როგორ შეაფასებდით დღეისთვის ხელისუფლება-ოპოზიციას შორის ჩამოყალიბებულ ვითარებას?**

— მოგებული არავინ არ არის, მაგრამ არც ფრეა. თუ ფრეა, არის დაძაბული ფრე, ანუ დაძაბული თანასწორობა. ამ შემთხვევაში ფრე არ ნიშნავს სიმშვიდეს და იმას, რომ მხარეებმა თავისას მიაღწიეს. პრინციპში, ხელისუფლებამ თავისი სტრატეგიით სიტუაცია იქამდე მიიყვანა, რომ ოპოზიციის მოქმედებას აზრი დაეკარგა. ოპოზიცია დეზორიენტირებული გახდა. მიზანსწრაფულობა, გარკვეულობა, — ეს თვისებები ოპოზიციას ჩამოშორდა. თუ მებრძოლ მხარეს, რომელსაც თავისი მიზნის მიღწევა უნდა, არა აქვს გამოკვეთილი სტრატეგია და მკაფიო მიზნები, როგორც წესი, თავის მიზნებს ვერ აღწევს. რომც იყოს მოქმედი, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი დაბალია.

ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ ოპოზიციის ქმედებანი ნონსენსის შემცველი და აბსურდული ხდება. ხელისუფლებამ გრძელვადიანი მოთმენის, არრეაგირებისა და პასუხის გაუცემლობის სტრატეგია აირჩია, რითაც ოპოზიციას საზრისიანი ბრძოლის რესურსები ამოეწურა. შედეგად, ჩემი აზრით, ოპოზიცია კოლაფსში თავად შევიდა. სავარაუდოდ, ასე იმიტომ მოხდა, რომ არ ჩანს გამოკვეთილი მიზანი. იმ ძირითადმა მიზანმა, რომელზეც აქცენტი კეთდებოდა — მიშა გადადგება ან გადააყენებენ და ასე შემდეგ, აზრი დაკარგა, ვინაიდან ამის განხორციელება შეუძლებელია. სხვა მხრივ, აღმოჩნდა, რომ მათ არავითარი პროგრამა არ ჰქონდათ. ამ ეტაპზე ოპოზიციის მარცხის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მან ვერ შეძლო რეალური, პოლიტიკური ალტერნატივის ჩამოყალიბება და საზოგადოებისთვის შეთავაზება.

**— ხელისუფლება ოპოზიციას რუსეთთან კავშირში ადანაშაულებს. თავის მხრივ, ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ხელისუფლებაა რუსეთთან გარიგებაში შესული. თქვენი აზრით, რომელი მხარის მტკიცება გამოიყურება უფრო დამაჯერებლად?**

— ორივე მხარის მტკიცებებს მტკიცებულებები თან არ ახლავს. ორივე მხარე ცდილობს მოწინააღმდეგის დასუსტებას. ეს სტრატეგია არ არის გათვლილი იმაზე, რომ დიაგნოზი დაესვას, ვინ არის სწორი და ვინ არა. მათი მოქმედება არ ითვალისწინებს ჭეშმარიტების დადგენას და უფრო ერთმანეთისთვის ლაფის შესხმაზეა ორიენტირებული. ამ შემთხვევაში საზოგადოება დაბნეულია. საზოგადოებას ვერავინ ვერ მოაცილებს ამ დაბნეულობას, რადგან ამ სიტუაციის შემქმნელი ერთგვარად საზოგადოებაც არის თავისი გაურკვევლობით, დაბნეულობით, იმ ვითარებით, რომ საზოგადოება, რასაც ჩაძახებენ, იმას ამოსძახებს. ასეთ ვითარებაში შეიძლება საკითხის ასე დასმა, საერთოდ გვყავს საზოგადოება? რომელ საზოგადოებაზე ვლაპარაკობთ ჩვენ?

**— როგორ შეაფასებდით, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, ლევან გაჩეჩილაძის განცხადებას, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად ფინანსების მობილიზებას იწყებს?**

— გაჩეჩილაძის განცხადებას აღვიქვამ, როგორც გულწრფელ გამონათქვამს. მართლაც, ყველა პოლიტიკურ აქციას სჭირდება ფინანსები და საკმაოდ ბევრი. თანხების მოძიება მნიშვნელოვანი პრობლემაა. ხელისუფლების ბრალდებები, რომ ოპოზიცია რუსეთიდან ფინანსდება, რამდენად მართალია, არ ვიცი, ვინაიდან ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები ხელისუფლებას არ წარმოუდგენია. თუ ხელისუფლებას ამის მტკიცებულება აქვს, შესაბამისად, ისინი იურიდიულადაც უნდა გააფორმოს.

ჩემი აზრით, ეს სწორი განაცხადია. ფინანსები უნდა მოიპოვოს, აბა, რა უნდა ქნას? რატომაც არ უნდა მოიპოვოს? ფინანსები ჩვენს ცხოვრებასა და პოლიტიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ფულისადმი ცოტა ირონიული, გაუგებარი და არარეალისტური დამოკიდებულება გვაქვს. ფული ისეთივე მკაცრი რეალობაა, როგორც — სიკვდილი, სიცოცხლე, დაბადება და ასე შემდეგ. თავად აზრი, რომ ფულის კეთება, ფულის მოზიდვა ცუდია, ძალიან მიამიტური და პრიმიტიული მსჯელობებია. რამეს გასაკეთებლად ფული უნდა მოიპოვო და გააკეთო, ეს მკაცრი რეალობაა.

**— ექსპერტთა უმრავლესობა ბევრს საუბრობს, რომ საგარეო საფრთხეები რეალურად არსებობს, მაგრამ ხელისუფლებას რაიმე ნაბიჯი საზოგადოების კონსოლიდაციისთვის არ გადაუდგამს. არადა, ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ შემოდგომაზე ვითარებას გაამწვავებენ. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია საგარეო საფრთხეები და უნდა ველოდოთ თუ არა ქვეყანაში ვითარების გამწვავებას?**

— მე მგონია, უნდა ველოდოთ. ზაფხულში ვნებები ცოტა დაცხრება და შემოდგომაზე დასვენებული ხალხი ენერგიულად შეუდგება საქმეს. ვნებები კი ჩაცხრა, მაგრამ პრობლემები ხომ იგივე დარჩა და მეტიც, უფრო გაღრმავდა. ხელისუფლებას პრობლემები არ გადაუწყვეტია, პირიქით — გააღრმავა. ოპოზიციამაც ვერ მიაღწია მიზნებს. ამიტომ შემოდგომაზე ოპოზიცია არანაკლებად გაამწვავებს ვითარებას.

რაც შეეხება თქვენი კითხვის პირველ ნაწილს, ქვეყნის წინაშე არსებულ გარე საფრთხეებს. სამწუხაროდ, ამ საფრთხეებთან საბრძოლველად ხელისუფლებამ საზოგადოების კონსოლიდაცია ვერ მოახერხა. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი რუსეთის აგრესიის მოლოდინშია. აქტიური მოლოდინი არ არის, მაგრამ ასეთი მოლოდინი რომ არის, ფაქტია. რაიმე კეთდება იმისთვის, რომ ეს საფრთხეები ავიცილოთ? ცხადია, არა.

ეს საფრთხეები არსებობს ობიექტურადაც და სუბიექტურადაც. სუბიექტურად იმიტომ, რომ საზოგადოებაში გარკვეული მოლოდინი არსებობს, ობიექტურად იმ თვალსაზრისით, რომ ამის შესახებ ვისმენთ განცხადებებს რუსეთიდან. გარდა ამისა, რუსეთმა საქართველოდან გაეროს და ეუთოს დამკვირვებლები გააძევა. ყველაფერი ეს მიუთითებს, რომ ჩვენ ყოველდღიურად საფრთხის ქვეშ ვართ, კონსოლიდაციის ხარისხი კი ძალიან დაბალია. უფრო მეტიც, არათუ დაბალი, თითქოს ყოველი დღე აღრმავებს კონსოლიდაციის საწინააღმდეგო და საზოგადოების სეგმენტაციის ტენდენციებს.

ბრალდებების სტილი, რომელიც ხელისუფლებამ აირჩია, კონფრონტაციას აღრმავებს. სამწუხაროა, რომ ხელისუფლებამ თავის მოქმედებაში არაფერი არ შეცვალა და არც უფიქრია იმაზე, რომ ასეთ კრიტიკულ ვითარებაში სიტუაცია კიდევ არ გაამწვავოს; არ უფიქრია, რომ ადამიანებს სხვანაირადაც შეიძლება ელაპარაკო, ხელისუფლებას მოქალაქეების მიმართ კვლავინდებურად აგდებული დამოკიდებულება აქვს. პროცესებისადმი ოპოზიციის დამოკიდებულებაც არ შეცვლილა. პრინციპში, ორივე მხარე ერთნაირად უცვლადი გახდა. ეს კი საზოგადოების კონსოლიდაციის ხარისხს ამცირებს. საზოგადოებაში ურთიერთმოძულეობის პოტენციალი ძალიან მაღალია და ეს კიდევ უფრო ღრმავდება.

◉ მოლოდინი

# ოპერატიულ-სტრატეგიული სწავლება რუსეთ-საქართველოს ახალი

**შესაბამის მოლოდინს როგორც რუსი, ასევე უცხოელი ექსპერტები აღნიშნავენ. ბრიტანული The Times-ის პოლიტიკური მიმომხილველი ფილიპ პენკი, რომელიც თავის მოსაზრებებს საქართველოს სარდლობაზე, ასევე პოლიტიკოსებსა და სამხედროებზე დაყრდნობით გამოთქვამს, სტატიაში მოსკოვსა და თბილისს შორის ახალ სამხედრო კონფლიქტს არ გამორიცხავს. ამას იტყობინება სააგენტო „პირველი“.**



მისი შეფასებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული რუსული არმიის დანაყოფები საქართველოს დედაქალაქიდან ერთი საათის სავალზე იმყოფებიან, ეს კი იგივეა, რაც „იცხოვრო ლონდონში, როცა რუსული ტანკები უინდზორში დგანან“. გამოცემის აზრით, რუსეთში აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ვიზიტის წინ მსგავსი სწავლების გამართვა სხვა არაფერია, თუ არა „საქართველოს ნატოში გაწევრების ჩაგდების მცდელობის დემონსტრირება“. გამოცემის ეს ვერსია რამდენიმე დღის წინათ თითქმის ზუსტად გაიმეორა ეკონომიკური ანალიზის ინსტიტუტის პრეზიდენტმა ანდრეი ილარიონოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთ-საქართველოს ომი, შესაძლოა, 6 ივლისს განახლდეს. სწორედ ამ დღეს სრულდება სწავლება „კავკაზ-2009“ და სწორედ ამ დღეს მიფრინავს აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა მოსკოვში. საქართველოსთან ომის გაგრძელების მზადების ნიშნებად რუსეთის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ილარიონოვი რუსეთის იმ რეალურ ქმედებებსაც მიიჩნევს, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტის ზონიდან გაეროსა და ეუთოს მისიების დამკვირვებლების გაყვანას, ასევე ტერაქტებს კონფლიქტის ზონაში, მათ შორის — ევროპელი დამკვირვებლების წინააღმდეგაც. კრემლის ოპონენტი ვარაუდობს, რომ შესაძლო სამხედრო კამპანიის მთავარ ამოცანად საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, არსებობის შეწყვეტა და მისი რამდენიმე კვაზისახელმწიფოდ დაშლა შეიძლება იყოს. ამასთან, გამოცემა იხსენებს, რომ რუსეთმა „კავკაზ-2009“-ზე საერთაშორისო მეთვალყურეების დასწრებაზე უარი განაცხადა. გარდა ამისა, მანევრებში სახმელეთო ჯარების გარდა, შავი ზღვის ფლოტი, კასპიის ფლოტილია და საჰაერო ძალების ძირითადი შენაერთები მონაწილეობენ. წვრთნებში სულ 8,5 ათასი სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას. რაც შეეხება სამხედრო ტექნიკას, საუბარია ათეულობით თვითმფრინავსა და შვვეულმფრენზე, დაახლოებით 200 ტანკზე, 450 საბრძოლო მანქანასა და 250 ერთეულ საარტილერიო იარაღზე. სწავლების გამართვის შესახებ საუბრისას რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა, არმიის გენერალმა ნიკოლაი მაკაროვმა განაცხადა, რომ „საქართველო რევანშისტულ გეგმას ამზადებს, მისი სამხედრო პოტენციალი კი უკვე აღემატება იმას, რაც ერთი წლის წინათ ჰქონდა, თუმცა რუსეთს შეუძლია, ადეკვატური პასუხი გასცეს“. ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზების სრულ საბრძოლო მზადყოფნაზე რამდენიმე დღის წინათ სახმელეთო ძალების სარდალმა, არმიის გენერალმა ვლადიმერ ბოლდირევმაც განაცხადა და აღნიშნა, რომ სწავლებაში მონაწილეობას ისინიც მიიღებენ. გარდა ამისა, გენერალ-ლეიტენანტი იური ნეტკაჩოვი, რომელიც ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის მოადგილე იყო, ვარაუდობს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის საბრძოლო მოქმედებების განახლება

№ 131. სამშაბათი, 30 ივნისი, 2009 წელი.

## უცხოელის თვალით

**ობამა-მედვედევის შეხვედრის სავარაუდო შედეგებზე, იმაზე, თუ რამდენად რეალურია ქართული პრესის ინფორმაცია აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის მიერ სააკაშვილის ვაშინგტონში შესაძლო წაყვანის შესახებ და შეესაბამება თუ არა რეალობას მტკიცება, რომ ქართული ოპოზიცია რუსეთიდან იმართება, „ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის ხელმძღვანელს ოლეგ პანფილოვს.**



# ოლეგ პანფილოვი: ობამა-მედვედევის შეხვედრა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, როგორი იქნება რუსეთის დამოკიდებულება საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ

**— ბატონო ოლეგ, რა მოლოდინი გაქვთ მოსკოვში დაგეგმილი აშშ-რუსეთის სამიტისა და ობამა-მედვედევის შეხვედრისგან? რუსი ექსპერტის, დიმიტრი ტრენინის შეფასებით, ობამა-მედვედევის შეხვედრა „ყრუთა დიალოგი“ იქნება, სხვა ექსპერტებიც საკმაოდ სკეპტიკურად არიან განწყობილი...**

— ვფიქრობ, რომ ტრენინი და სხვა ექსპერტებიც მართალნი არიან, როცა ობამა-მედვედევის შეხვედრის სავარაუდო შედეგებს სკეპტიკურად აფასებენ. ერთადერთი, რასაც ველოდები, ობამას დაზუსტებული პოზიციაა საქართველოსა და მთელ პოსტსაბჭოთა სივრცესთან დაკავშირებით. ეს თემა რუსეთ-ამერიკის დაპირისპირებაში ახლა ყველაზე მთავარი და აქტუალურია.

ობამა-მედვედევის შეხვედრა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, როგორი იქნება რუსეთის დამოკიდებულება საქართველოსა და მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ. ასევე, მთავარი საკითხია, ამ შეხვედრის შემდეგ უნდა ველოდოთ თუ არა რუსეთ-საქართველოს მეორე ომს. ჩემი შეფასებით, ახლა რუსულ-ქართული მეორე ომის შანსი ნაკლებია. შარშანდელი ომი მრავალი წლის განმავლობაში მზადდებოდა, დიდხანს გროვდებოდა რაღაც-რაღაცეები და საჭირო იყო, გარკვეული ფორმით გამოვლენილიყო. ახლა რუსეთს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის ნაკლები შანსი აქვს. თუ შარშან საერთაშორისო თანამეგობრობამ რუსეთს დაანახა, რა დამოკიდებულებები აქვს კრემლის იმპერიული ამბიციების მიმართ, წელს საქართველოსთან ომის დაწყების შემთხვევაში, რუსეთი სრულ იზოლაციაში აღმოჩნდება. თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკური კრიზისის გამო რუსეთში არსებულ ვითარებას, ახალი ომი რუსეთისთვის კატასტროფა იქნება. ეს რომ ასეა, ფაქტია. იმ ადამიანების ფსიქოლოგიური მახასიათებლების განსაზღვარა, რომლებიც დღეს კრემლში გადაწყვეტილებებს იღებენ, ძნელია, ამიტომ პროგნოზის გაკეთება ყოველთვის მიჭირს.

**— კრემლთან დაახლოებული ექსპერტების განცხადებით, ობამა-მედვედევის შეხვედრა იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, თუ მიიღწევა გადაწყვეტილება საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღების 20-25 წლით გადავადების შესახებ. რამდენად რეალურია აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების მოსკოვურ შეხვედრაზე ამგვარი შეთანხმება?**

— პირველ რიგში, ამ ადამიანებს მე არ ვუწოდებდი პოლიტოლოგებს, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ყოველთვის ცდილობენ კრემლის პოზიციის გახმოვანებასა და გაზიარებას. ვფიქრობ, პირიქით მოხდება. გამარტივებული იქნება საქართველოსა და უკრაინის ნატოში შესვლის მექანიზმი და მეტიც, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დაიწყებს მოლაპარაკებებს სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გაწევრებაზე. არავინ არ ფიქრობს ახალი სამხედრო ტექნიკის რუსეთის ირგვლივ განლაგებას. ასეთ რამეებს კრემლში თავად იგონებენ.

ჩემი აზრით, აქ საუბარია პოსტსაბჭოთა სივრცეზე ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრებაზე. თუ ასე არ მოხდა და პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიული სისტემის მშენებლობის პროცესს პრობლემები შეექმნა, ძალიან ვშიშობ, რომ რუსეთი ყოფილ საბჭოთა სივრცეში ბევრ ისეთ რამეს დააბრუნებს, რაც რუსეთში უკვე დააბრუნა. პირველ რიგში, ეს სახელმწიფო ტელევიზიაში პროპაგანდას ეხება. ამ პროპაგანდის მიზანი ანტიდასავლური და ანტიამერიკული განწყობების შექმნაა. ამგვარი პროპაგანდით კრემლი ტერიტორიების დაბრუნებას შეეცდება. თუ პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიული სისტემის მშენებლობის პროცესი შეჩერდება, მთელ ამ სივრცეს უმძიმესი გამოცდის პერიოდი ელის.

**— ქართველ ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, თბილისში ვიზიტისას აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტს საქმის კურსში ჩააყენებს ობამა-მედვედევის მოლაპარაკებების შესახებ, გადადგომას და აშშ-ში მასთან ერთად გამგზავრებას შესთავაზებს... თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია ქართული ოპოზიციის იმედები?**

— მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ექსპერტებს ობამასთან ან აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნების საწოლში სძინავთ და იმას ისმენენ, რაც თავად სურთ. ამგვარი საუბრები ბაზარში ხშირად მსმენია. ასეთი საუბრებისთვის ვერანაირ საფუძველს ვერ ვხედავ. ნიშანდობლივია, რომ ვინმეს მიერ სააკაშვილის საქართველოდან წაყვანაზე ქართული ოპოზიცია 9 აპრილის აქციების დაწყებამდე და შემდეგ, მთელი სამი თვის მანძილზე საუბრობდა. მათ დამშვიდებას ვურჩევდი. ჩემი აზრით, პროცესები საქართველოში ისე უნდა მიმდინარეობდეს, როგორც ამას საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს.



**— საქართველოში ოპოზიციას რუსეთთან თანამშრომლობა ბრალდება. ვრცელდება მოსაზრება, თითქოს კრემლს საქართველოში ხელისუფლების შეცვლა იმის გამო სურს, რომ ახალმა ხელისუფლებამ თუნდაც ერთი საათით მაინც აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, შემდეგ კი რუსეთი თავად „აღადგენს“ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ამით დასავლეთის წინაშე თავს იმართლებს, მაგრამ მთელ საქართველოს რუსეთის კონტროლს დაუქვემდებარებს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ოპოზიციის მისამართით გამოთქმული ბრალდებები და კრემლის გეგმების ის სცენარი, რომელზეც ბევრი უკვე დაუფარავად საუბრობს?**

— სამწუხაროდ, საქართველოში მიმდინარე პროცესების ლოგიკა მაძლევს საშუალებას ვთქვა, რომ კრემლისა და ქართული ოპოზიციის მოქმედება ერთმანეთს ემთხვევა. ვერ ვიტყვი, რომ ეს შემთხვევითი დამთხვევაა. მოსკოვში კრემლის მხარდამჭერი „ნაშის“ ტიპის მოძრაობებისა და ქართული ოპოზიციის აქციების ზედაპირული ანალიზი, მხედველობაში მაქვს საკნები, ქურთუკები, ბუშტები, კურდღლები, სტაფილოები და თეატრალური წარმოდგენები, სწორედ იმაზე მიანიშნებს, რომ ქართული ოპოზიციის აქციები კრემლის პოლიტტექნოლოგების მონაწილეობის გარეშე არ მიმდინარეობს. თუმცა, განსხვავება მაინც არის. მოსკოვში კრემლის მხარდამჭერების აქციების ორგანიზატორებს აზრის გამოხატვაში საგზაო პოლიცია ეხმარება და იცავს კიდეც.

რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, მეც ვფიქრობ, რომ საქართველოსთან მიმართებაში მოსკოვის მიზანი და მოქმედების სცენარი ალბათ, დაახლოებით, ასე გამოიყურება. რუსეთმა შარშან საქართველოში სამხედრო გადატრიალება ვერ განახორციელა, ახლა მოქმედების სხვა გეგმა აირჩია და თავისი იმედები შიდა რესურსს დაუკავშირა. ვერ გეტყვით, ოპოზიციის რომელი ნაწილია დაკავშირებული კრემლის გეგმებთან, მაგრამ ის, რომ ოპოზიციის რაღაც ნაწილი მართლაც დაკავშირებულია რუსულ პოლიტიკურ წრეებთან, აშკარაა.

მქონია შეხვედრა ისეთ ქართველ ოპოზიციონერებთან, რომლებსაც ჩემთვის თავად უთქვამთ, რომ სააკაშვილის ჩამოგდება აუცილებელია. მათ სახელებს მე არ დავასახელებ, რადგანაც ხელთ არა მაქვს მათი რუსეთთან თანამშრომლობის მტკიცებულებები. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეა სწორედ იმისთვის, რომ საქართველოში ის სცენარი განხორციელდეს, რომელზეც თქვენ საუბრობდით.

## მოლოდინი

# „კავკაზ-2009“, შესაძლოა, ომის პროლოგი გახდეს

ძალიან ნაკლებად სავარაუდოა, „თუ, რა თქმა უნდა, სააკაშვილი პროვოკაციებზე არ წავა, მაგრამ ასეთ პირობებში შიდა არასტაბილურობა საქართველოში ნაკლებად სავარაუდოა“. ექსპერტის აზრით, სამხედრო კონფლიქტი საქართველოში უცხო ჯარების მონაწილეობით (რუსული აუცილებელი არ არისძ შესაძლებელია „ჯავახეთში, სადაც სომხური დიასპორა კომპაქტურად ცხოვრობს, სეპარატისტული განწყობის გაზრდით“. ამასთან, ნეტკაჩოვი იხსენებს, რომ თავის დროზე, როცა იგი ახალქალაქში დისლოცირებულ რუსულ სამხედრო ბაზაზე იმყოფებოდა, „ადგილობრივმა სომეხმა ლიდერებმა საქართველოდან გამოყოფისა და სომხეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ განაცხადეს“. საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის, ოპოზიციონერი დეპუტატის პაატა დავითაიას აზრით, „სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის ესკალაციის ზრდა აშკარაა“. პარლამენტარი ამაში რუსეთის ხელს ხედავს, რომელიც „ყოველთვის გამოირჩეოდა იმით, რომ ყოფილი სსრ კავშირის სივრცეში სეპარატიზმს უჭერდა მხარს“. თუმცა დავითაია საქართველოს აღნიშნულ რეგიონში მთიანი ყარაბაღის სცენარის განმეორების შესაძლებლობას გამორიცხავს. „რუსეთის ომი ჯავახეთში არარეალურია. თუ იქ კონფლიქტი იქნება, ეს მოსკოვში პოლიტიკური მეთოდებით გადაწყდება. რუსეთისა და საქართველოს დაპირისპირება მომგებიანია დასავლეთისთვის და თავად სააკაშვილისთვის. სწორედ ამიტომ ძაბავენ ისინი სიტუაციას. მე დარწმუნებული ვარ, რომ თბილისთან ომს მოსკოვი პირველი არ დაიწყებს. სწავლება „კავკაზ-2009“-ის შემდეგ ომი არ იქნება — ამაში დარწმუნებული ვარ“, — აცხადებს გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტი, გენერალ-პოლკოვნიკი ლეონიდ ივაშოვი.



**სააგენტო „პირველი“**

## ინფორმაცია

### კახა თარგამაძე თავად ხელისუფლებამ გააცოცხლაო

**„მოძრაობა ერთიანი საქართველოს„ გენერალური მდივნის ეკა ბესელიას განცხადებით, „კახა თარგამაძის ქართულ პოლიტიკაში შემოყვანა ხელისუფლების ინტერესებში შედის„.**

**სწორედ ამით ხსნის ოპოზიციონერი ლიდერი იმას, რომ თარგამაძისა და გაჩეჩილაძე-გამყრელიძის ბერლინში გამართული შეხვედრის თემა ტელეეკრანიდან არ ჩამოდის.**

**უკვე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კახა თარგამაძის გაცოცხლება, მისი ქართულ პოლიტიკაში შემოყვანა ნამდვილად საქართველოს ხელისუფლების ინტერესებში უნდა შედიოდეს. ამიტომაც არ ჩამოდის ეს თემა დღის წესრიგიდან, — განაცხადა ბესელიამ.**

**„კონსერვატიული პარტიის“ ლიდერის ზვიად ძიძიგურის შეფასებით, „კახა თარგამაძე საინტერესო აღარ არის“.**

**„კახა თარგამაძე რამდენიმე წლის წინათ იყო საინტერესო. ახლა ის საინტერესო აღარაა, აქედან გამომდინარე, ის ვის შეხვდა და რა ინფორმაცია მიაწოდა გაჩეჩილაძისთვის, ჩემთვის მნიშვნელოვანი არ არის, — აცხადებს ძიძიგური.**

**მისივე თქმით, თარგამაძის თემის ამოწევა ხელისუფლებისთვისაა საინტერესო, ვინაიდან ფიქრობს, რომ ამით ოპოზიციის კომპრომეტირებას შესძლებს.**

 XO-ЭOB-ЭNO

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი კავკასიაში სამხედრო სწავლებას იწყებს

**რუსეთის ჯარებმა ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებში დაიწყეს მასშტაბური სწავლება.**

სწავლებაში „კავკასია-2009" მონაწილეობას ღებულობენ 8,5 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაახლოებით 200 ტანკი, 450 ჯავშანმანქანა და 250-მდე საარტილერიო ქვემეხი, იტყობინება რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო.

ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქი ამგვარ სწავლებას აწყობდა შარშან ზაფხულშიც სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე. მანევრების ოფიციალურ მიზეზად სახელდება ჯარების მზადყოფნის შემოწმება მობილიზაციისთვის.

გაეროს მეთვალყურეთა მისია აფხაზეთში და ეუთოს მეთვალყურეთა მისია სამხრეთ ოსეთში უკანასკნელი თვეების განმავლობაში იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ თავიანთი მუშაობა მათი მანდატის გაგრძელების შესახებ მოლაპარაკების ჩაშლასთან დაკავშირებით.

რუსეთი, რომელსაც აქვს ვეტოს უფლება ორივე ორგანიზაციაში, აყენებდა პირობას იმის შესახებ, რომ მეთვალყურეთა მანდატს აესახა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების, სტატუსი, რაც მიუღებელი იყო სხვა ქვეყნებისთვის, რომლებიც ამ ტერიტორიებს საქართველოს ნაწილად მიიჩნევენ.

მეთვალყურეთა ერთადერთი მისია კონფლიქტის ზონაში არის ევროკავშირის მისია, რომელიც გათვალისწინებულია შეთანხმებით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რითაც დამთავრდა ომი რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოში.

უიარაღო ევროპელი მეთვალყურეები მოქმედებენ მხოლოდ საქართველოს არასადავო ტერიტორიაზე.

ომის შემდეგ რუსეთმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განათავსა მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები და ამის საფუძვლად მიუთითებდა ორმხრივ შეთანხმებას სოხუმთან და ცხინვალთან.

სწავლების მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება ომის გამოცდილება, განუცხადა „რია ნოვოსტის" სააგენტოს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის პრესსამსახურის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა ანდრეი ბობრუნმა.

სწავლებას უხელმძღვანელებს პირადად გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ნიკოლაი მაკაროვი.

სამხედროები ვარაუდობენ მანევრების დამთავრებას 6 ივლისისთვის, რაც ემთხვევა რუსეთში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას ვიზიტს.

საქართველოსთან ომმა გამოიწვია რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობათა გაცივება 2008 წლის ბოლოს.

„სწავლების დროს შემოწმდება და ანალიზი გაუკეთდება სამხედრო ხასიათის შესაძლო ადეკვატური ზომების ფართო სპექტრს რუსეთის მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველყოფისთვის, მნიშვნელოვან სატრანსპორტო და ენერგეტიკული კომუნიკაციების, სტრატეგიული ობიექტების შემოწმების საკითხებს, აგრეთვე ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავენ რუსეთის ეკონომიკური ინტერესების დაცვას სამხრეთ დასავლეთ რეგიონში", – აღნიშნა პოდპოლკოვნიკმა ბობრუნმა.



სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მცხოვრებთა უმრავლესობამ მიიღო რუსეთის პასპორტები და რუსეთის მოქალაქეთა დაცვა იყო კონფლიქტში რუსეთის ჩართვის ერთ-ერთი მთავარი გამართლება მას შემდეგ, რაც საქართველოს არმია შეეცადა დაუფლებოდა ცხინვალს 2008 წლის 8 აგვისტოს.

სწალვებაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სეპარატისტული ძალები სამხრეთ ოსეთში.

BBC RUSSIAN.com

# ვირტუოზული და ვირტუალური პროექტები

**რუსეთ-ნატოს საბჭოს სხდომა გაიმართა პირველად შარშანდელი აგვისტოს მოვლენების შემდეგ. შეხვედრა მიმდინარეობდა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.** საგარეო-პოლიტიკური უწყებების ხელმძღვანელები, როგორც რუსეთისა, ისე ნატოს ქვეყნებისა, კვლავ აღნიშნავდნენ ერთობლივი პასუხის აუცილებლობას საერთო საფრთხეზე, ისეთებზე, როგორიცაა ტერორიზმი და ბირთვული იარაღის გავრცელება.

მაგრამ ყველა როდი იყო ერთსულოვანი ყველა შეფასებაში. თუ ნატოს წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ არსებობს სხვადასხვა შეხედულება საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებით, მაგრამ მოუწოდებდნენ „გავიხედოთ მომავალშიც", რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მოითხოვდა, რომ გვერდი არ ავუაროთ „ახალ რეალიებს", რაშიც გულისხმობდა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას და გავითვალისწინოთ ისინი „პრაქტიკული ნაბიჯების დროს". ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა წამოაყენეს რუსეთის ვეტოს თემა საქართველოში გაეროს მისიის გაგრძელებასთან დაკავშირებით, ლავროვი კი დასავლეთს ბრალს სდებდა იმაში, რომ კონკრეტული მოქმედებების მაგივრად იგი მიმართავს „ვირტუალურ გეოპოლიტიკურ პროექტებს". მთავარი კი კუნძულ კორფუზე შეხვედრაში იყო დიალოგის აღდგენა. მიუხედავად ამისა, არის კიდევ ერთი შედეგი – გადაწყვეტილება სამხედრო თანამშრომლობის განახლების შესახებ. ამას გარდა, ყველა მხარე აღნიშნავს, რომ კრიზისმა არ მიგვიყვანა თანამშრომლობის შეწყვეტამდე დასავლეთის ჯარების მისიის მომარაგებაში ავღანეთში.




კუნძული კორფუ შეხვედრის ადგილად იქნა არჩეული იმიტომ, რომ მონაწილეები იმყოფებოდნენ იქ ჯერ კიდევ საბჭოს სხდომის დაწყებამდე: ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტრები აქ განიხილავდნენ რუსეთის ინიციატივას ევროპაში უშიშროების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით: კონკრეტული წარმატებების გარეშე. წინადადებებს არ ჰყოფნის კონკრეტიკა, მიაჩნია დასავლეთის მხარეს.

ევროსაბჭოს ზოგიერთი საგარეო საქმეთა მინისტრი აღნიშნავდა, რომ საჭიროა განვიხილოთ „არა აბსტრაქტული პრინციპები, არამედ კონკრეტული საკითხები", მაგალითად, ეუთოს მისია საქართველოში. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კუშნერმა აღნიშნა, რომ შეეკითხა ლავროვს, როდის შეიძლება საუბარი საქართველოსთან დაკავშირებით „თუნდაც პროგრესის ერთი მილიმეტრის შესახებ". როგორც ჩანს, ამ შეკითხვაზე მან პასუხი ვერ მიიღო.

**რაინხარდ ფეზერი**

Frankfurter Allgemeine

## დედამიწის ზურგზე



**ირანში დაიწყო ხმების ხელახალი დათვლა, რაც მოითხოვა ოპოზიციამ პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ**

კონსტიტუციის დამცველთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ხმების ხელახალი დათვლა მოხდება ნაწილობრივ – ბიულეტენების მხოლოდ 10 პროცენტი, რომლებიც შერჩეული იქნებიან ალალბედად. ამას გარდა ცნობილი გახდა, რომ ირანის ხელისუფლებამ გაათავისუფლა დიდი ბრიტანეთის საელჩოს ხუთი თანამშრომელი, რომლებიც, თითქოსდა, „აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ უწესრიგობებში".

* * *

**ჩეხეთში წყალდიდობის შედეგად მიყენებულმა ზარალმა, ექსპერტების აზრით, 200 მილიონ ევროს გადააჭარბა**

მიყენებული ზარალის ზუსტი თანხა, ექსპერტების აზრით, ცნობილი გახდება ივლისის შუა რიცხვებში. „გაზრდილი საშიშროების" რეჟიმი გამოცხადდა ჩრდილოეთ მორავიაში, სადაც დატბორვის ზონაში იმყოფება 18 დასახლებული პუნქტი. სამხრეთ ჩეხეთშიც მოქმედებს ამგვარი რეჟიმი.



* * *

**გერმანელებს სიცოცხლიდან ნებაყოფლობითი წასვლის ნება მისცეს – ამისთვის საჭიროა შედგეს წერილობითი განკარგულება**

ბუნდესტაგმა დააკანონა ეგრეთ წოდებული პასიური ევტანაზია: იმ პაციენტების ბედს, რომლებმაც დაკარგეს უნარი მიიღონ პიროვნულად გადაწყვეტილება, განსაზღვრავს ადრე მის მიერ შედგენილი განკარგულება. მედიკოსებს ეშინიათ, რომ მძიმედ დაავადებულთა მემკვიდრეები გამოიყენებენ კანონს ანგარებით გამოჯანმრთელების შანსის არსებობის დროსაც კი.

* * *

**ჰონდურასში შემოღებულია საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი**

ამ დროს ჰონდურასის დედაქალაქის ქუჩებში კვლავ გაისმის სროლის ხმები, ხელისუფლებიდან გადაყენებული პრეზიდენტის მომხრეები კი აგებენ ბარიკადებს, გადაკეტეს გზა პრეზიდენტის სასახლისკენ. გონდურასის პრეზიდენტის ჩამოგდებას არც ერთმა ქვეყანამ არ დაუჭირა მხარი. გაეროს გენერალური ასამბლეა აპირებს მოიწვიოს რიგგარეშე პლენარული სხდომა აქ შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით.

* * *

**რუსეთსა და არგენტინას შორის ძალაში შევიდა უვიზო რეჟიმი ტურისტებისთვის**

ორშაბათიდან ორივე ქვეყნის ტურისტებს შეუძლიათ შევიდნენ, გამოვიდნენ, გაიარონ ტრანზიტით და იმყოფებოდნენ მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უვიზოდ 90 დღემდე პირველი შესვლის თარიღიდან. მათ კი, ვისაც განზრახული აქვს შევიდეს მეორე ქვეყანაში უფრო მეტი ვადით ანდა იმუშაოს იქ, მოაწყოს ბიზნესი, დასჭირდებათ ვიზა.



### სულის ტკივილი

# ქართველნო, წინ უფსკრულია!

**ამას წინათ ერთ-ერთი საშუალო, ანუ ამათებურად საჯაროდ გადარქმეული სკოლის გამოსაშვები კლასის ბოლო ზარს ვესწრებოდი. იქ რომ თვალმარგალიტა გოგო-ბიჭები იყვნენ, ერთმანეთზე რჩეულები, მათ მნახველს გული სიამაყით ამევსო. ასეთი თაობა ნებისმიერ ერს შეშურდებოდა, სიხარულით ზეცაში დავფრინავდი, თან იმაზე ფიქრი მადარდიანებდა, რომ ამ მერცხლებივით მოჭიკჭიკე მოზარდთაგან ბევრი რიგიანად ვერ მოიწყობს საკუთარ მომავალს.**

თუმცა იმ წუთებში ისინი ამაზე არ ფიქრობდნენ, მხიარულობდნენ, ლაღობდნენ, მღეროდნენ, უკვდავი ვეფხისტყაოსნის საკმაოდ ვრცელ ნაწყვეტებს, გოგლას, გრანელის, გალაკტიონის უკვდავ შემოქმედებას აცოცხლებდნენ ჩვენს თვალწინ. ყველაფერი დასასრულისკენ რომ წავიდა, გოგო-ბიჭი გავინაპირე და ვკითხე, მომავალში რას აპირებთ-მეთქი. მივხვდი, გუნება წავუხდინე, არ უნდა მეკითხა. გოგონამ, რომელიც ნათიად გამეცნო, ალბათ უმაღლესში ჩავაბარებო. თუმცა ამ პასუხს მიღმა უსასრულო სიცარიელე შევიცანი და ვცადე მოფერებით გამენელებინა ჩემი დაუდევრობით მიყენებული ტკივილი.

აი, ბიჭმა, ნეტავი მის მშობლებს, ასე რომ გაზარდეს, ჯერ არ ვიცი როგორ, მაგრამ ამ ცხოვრებაში არ დავიკარგები, ყოველ შემთხვევაში, ჩემი სამშობლოდან არ გავიქცევიო.

მისმა ამ სიტყვებმა ისე აღმაფრთოვანა, მხრებში ისე გავიშალე, ერთბაშად გამიქრა წონადობა, ის უიმედობა, ის ტკივილი, რაც ამ ბავშვების მომავალზე ფიქრმა ჩამიბუდა სულსა და გულში.

მაშინ გამიჩნდა სურვილი, გამომეკითხა, თუ როგორ მომავალზე ოცნებობდნენ წელს სკოლის მერხიდან აფრენილი ვარსკვლავთბიჭუნები და მზისებრ მოთინათინე გოგონები, რას ელიან ცხოვრებისგან და რის გაკეთებას გეგმავენ.

თეონა, რა თქმა უნდა, მის გვარს საგანგებოდ არ ვამხელ, რამეთუ ისეთი რამ წამოცდა, ვანოს ზონდერებს, ცხადია, არ მოეწონებათ. მტრისას, აგერ ზუგდიდში ძებნილთა სურათების ჩამოყრისათვის სამი მცირეწლოვანი გოგონა არ სცემეს?

— უმაღლესში მინდა ჩაბარება. მისაღები გამოცდების პლასტიკური ბარათი უკვე ავიღე.

— რა ფაკულტეტზე და სად?

— უნივერსიტეტში, იურდიულზე, მაგრამ თუ ქულა არ მეყო, სხვა არჩეული სამი ფაკულტეტიდან ერთ-ერთზეც შეიძლება აღმოვჩნდე.

— იურისტობა ასე გიტაცებს?

— მე ფილოლოგიური მინდოდა, მაგრამ მშობლებმა ასე მირჩიეს, საერთოდ, ჰუმანიტარულ დარგს პერსპექტივა არ აქვსო.

გიგი ნადარაია — ბაბუაჩემი მეტალურგი იყო. თავისი პროფესია ძალიან უყვარდა. უნდოდა მეც მის გზას გავყოლოდი. დღეს აღარც ბაბუაა, აღარც მეტალურგია. ეკონომიკურ დარგს ვირჩევ. თუ სად, რომელ უმაღლეს სასწავლებელში, ჯერ კიდევ არ ვიცი.

ლალი შველიძე — აბა რა გითხრათ, დედაჩემი საზღვარგარეთაა, მე ესპანურს ვსწავლობ. ალბათ მასთან წავალ და იქ გავაგრძელებ სწავლას, თუ საამისო ფინანსების მოგვარებას შევძლებთ.

ერთი სიტყვით, მრავალ თინეიჯერთან საუბარი ჩემთვის ერთფეროვანი გამოდგა. ზოგმა საერთოდ არ იცის, რა უნდა, ან რის გაკეთებას შეძლებს მომავალში. მრავალმა ისიც მითხრა, უმაღლესი რომ დავამთავრო, მერე ამით რა შეიცვლება, სამუშაოს ვიშოვი თუ რაო. ის კი არა, უბრალო სამუშაოს პოვნაც წარმოუდგენლად მიაჩნიათ. ბევრიც თავის მომავალს უცხოეთში ხედავს, ქვეყნის გარეთ კი რა მოელით, ეს არავინ იცის.

არადა, ამაში, სამწუხაროდ, მშობლებიც ეხმარებიან. ჩვენთან ხომ წელს ათეულ ათასობით სკოლადამთავრებულია. 5 ათასი მოსწავლე, წელი რომ არ დაეკარგა, რუსულენოვან სკოლებში გადავიდა. ეს ფაქტი ნუთუ დამაფიქრებელი არაა განათლების იმ მესვეურთათვის, რომლებმაც თორმეტწლიან სწავლებას დაუჭირეს მხარი?!

თუმცა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს, ერთი წლით ადრე შეაღებ უმაღლესის კარს თუ გვიან? ჯერ სწავლების საფასური იმდენად მიუწვდომელია რიგითი მოქალაქისთვის, რომ ჩვეულებრივი ჯამაგირით რამდენიმე წელიც არ არის საკმარისი მის გასასტუმრებლად. მერე, აქ რომ დასაქმების შანსი არ აქვთ, უმაღლესდამთავრებულებიც უცხოეთში წასასვლელად ათასგვარ ხრიკებს მიმართავენ. ზოგი ფულს სესხულობს და არალეგალურად ცდილობს გადახვეწას. საუბედუროდ, მეტწილად გოგონები. ჰოდა, ეს თვალმახარებში სად მოხვდებიან, რომელი ქვეყნის რომელ ქალაქში ვიღაც-ვიღაცების მოსამსახურეებად, ლაქიებად, ვინ იცის. ან სულაც, შესაძლოა, ტრეფიკინგის მახეში გააბან.

რა მოხდა მერე, ცხოვრებას ასეთი კანონები აქვსო, იტყვიან ნაციონალები, მათი ლიდერები, ენა დაელღებათ თუ შუბლზე ძარღვი შეუტოკდებათ? საქართველოდან რაც მეტი წავა, მით ნაკლები ოპოზიციონერი ეყოლებათ. დღეს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში წამოსკუპებულთათვის მთავარია, რაც შეიძლება მეტი დრო დაჰყონ სავარძლებში, თუნდაც ეს მეტი და მეტი მოქალაქის დარბევად, დაჭერად, ჩაცხრილვად დაუჯდეთ, თუნდაც მთელ საქართველოს გაწყვეტენ.

საქართველოს რადიოს პირველ არხს ჰქონდა ერთი ასეთი გადაცემა „სამშობლო განა მარტო მთებია“. სხვათა შორის, დღევანდელი საზოგადოებრივისგან განსხვავებით, იმდროინდელ რადიო-ტელევიზიაში, რომელიც მაშინ ერთადერთი იყო, მთელი შემოქმედებითი კოლექტივი ფრიად ეროვნული გახლდათ, თითქმის ყველა დარგობრივი რედაქცია ცდილობდა, თავის პროგრამაში ჩაექსოვა ეროვნული სული, ეს იქნებოდა სამეცნიერო-შემეცნებითი, სასოფლო გადაცემათა რედაქცია, თუ სხვა. „სამშობლო განა მარტო მთებია“ ახალგაზრდული რედაქციის კოლექტივის ინიციატივით დამკვიდრდა. ეს ნახევარსაათიანი პროგრამა, რომელსაც მეც სისტემატურად ვაწვდიდი მასალებს, ძალზე პოპულარული იყო. ერთ-ერთი სიუჟეტი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პირველი თაობის მეფოლადეს, საკმაოდ ერუდირებულ და მამულიშვილ ვაჟა გიგიბერიას მივუძღვენი. გადაცემაში მან ფრიად საგულისხმო რამ თქვა: სამშობლო, უწინარესად, ეს მე ვარ, ჩემი ოჯახი, ჩემი სამეგობრო და ბოლოს ყველა ერთად, მთელი საქართველოო. სხვამხრივ ეს მიწა-წყალი, თუნდაც სამოთხე იყოს, თუ იქ ჩვენი ჯიში და გენი არ აღზევდება, ქართველობა არ ვიქენით, რისი მაქნისიაო.

ვაჟა გიგიბერია — კაცი-მატეანე, ქართული ფოლადის მინდიად რომ აკურთხეს, დღეს თავის მეცხრე ათწლეულს მიითვლის. ახლახან შემომხვდა და თვითონ გამახსენა, აუდიო ჩანაწერი შენახული მაქვსო. მერე თვალებზე ხელი მოიჩრდილა, შემომხედა და მკითხა, ნეტავიდ დღეს თუ ვინმეს ახსოვს სამშობლოო. ბოლოს დასკვნაც გააკეთა, გამოდის, რომ მაშინდელ კომუნისტებს უფრო მეტად ჰყვარებიათ თავისი ხალხი, ვრდრე დღევანდელ ნაცებსო. ის და კიდევ 5 ათასი 18 წლის ქართველი ჭაბუკი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წლებში რუსეთისა და უკრაინის ქარხნებში ეუფლებოდნენ მეტალურგიის პროფესიას. ვაჟა და მისი თაობის რუსთაველებმა ნაქალაქარზე ააშენეს ახალი ქალაქი, ააყვავეს საქართველოს ეკონომიკა და მამულს ღირსეული შვილები გაუზარდეს. ახლა კი სააკაშვილის ხელისუფლებამ ვინმე ჯოზეფ კეის ხელით მეტალურგია პირწმინდად გაანადგურა. არადა, როგორ წაადგებოდა რუსთაველ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, დღეს რომ ჰაერში არიან გამოკიდებულები, ეს ქარხანა და კიდევ სხვა მრავალი საწარმო, რომლებიც ისე დააქციეს, გააუქმეს, დღეს მათ ნაფუძვარზე მხოლოდ ქვალორღია დარჩენილი.

ქვეყანა კატასტროფის წინაშეა, არათუ დღევანდელ თაობას, თვით იმ პატარებს, უწმინდესისა და უნეტარესის მადლით მირონცხებულთ, არ ექნებათ მომავალი ასეთი ხელისუფლების ხელში. სწორედ ამიტომ თითქმის ორი მილიონი ქალი თუ კაცი, ზრდასრული თუ მოზარდი უცხოეთში გადაიხვეწა, მაგრამ ეს ხომ არაა გამოსავალი. როდემდე იქნებიან უცხო ქვეყნის სამსახურში?

ჩემი ახლობელი ქალბატონი თინა ჭ-ძე სამი წელია საზღვარგარეთ აუტანელ პირობებში ერთ დავრდომილს უვლის. მიხრწნილ ბერიკაცს შვილებმაც ერთოთახიანი ბინა მიუგდეს, იქ ერთი საწოლია, სადაც ნახევრადმიცვალებული ბერიკაცი წევს. მომვლელს ღამით ან სკამზე, ან იატაკზე სძინავს. სკლეროზით ავადმყოფის შიშით ღამით ფანჯარასაც ვერ აღებს, რომ სუფთა ჰაერი მაინც ჩაისუნთქოს. ამაში მას 800 ევროს უხდიან, რითაც აქ სამ შვილსა და შვილიშვილებს ინახავს. მარტო ის როდია ასეთ დღეში. ასობით ათასი ქართველი ქალი მსგავს ჯოჯოხეთში ცხოვრობს. ჩვენი პრეზიდენტი კი „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან გვიმტკიცებს, სამოთხეში ვცხოვრობთო.

დიახ, წელს ათეული ათასობით სკოლადამთავრებული ემზადება ასაფრენად, მაგრამ მათ ფრთები აღარ აქვთ. ამ ხელისუფლებამ შეაჭრა მათ და ყველა იმ ქართველს ფრთები, რომელთაც მუშაობა, საკუთარ ქვეყანაში თუნდაც არაფრით გამორჩეული სამსახურის შოვნა სურს და ამაო ძიებაში, მოლიდინსა და იმედგაცრუებაშია.

ქართველო ერო, შესდექ, გამოფხიზლდი, წინ უფსკრულია!

**გივი ჯახუა**

***P. S. ქართველებო, გაიღვიძეთ, დღეს თუ არ გავაკეთებთ საშვილიშვილო საქმეს, ხვალ გვიან იქნება. ჩვენ სამიათასწლოვანი კი არა, გაცილებით ძველი კულტურის ხალხი ვართ. და თუ აქამდე ტანჯვით, რუდუნებით მოტანილს გავანადგურებთ, არ გვაპატიებენ წინაპართა სულები.***

***გ. ჯ.***

### ნაღვაწი

# რეკორდსმენი მეცნიერი და პუბლიცისტი

**ამას წინათ საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის დაკვეთით გამოვიდა პროფესორ რომანოზ სვანიშვილის მიერ წლების განმავლობაში გამოქვეყნებული წიგნების, სამეცნიერო სტატიების, წერილებისა და სხვა პუბლიკაციების ამსახველი ბიბლიოგრაფია.**

ცნობილია, რომ რომანოზ სვანიშვილი ითვლება საქართველოში თანამედროვე სამედიცინო (ფიზიკურიძ რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის ერთ-ერთ ძირითად ფუძემდებლად. ის სამ ათეულ წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (შემდეგ უნივერსიტეტისძ სამკურნალო ფიზკულტურისა და საექიმო კონტროლის კათედრას (შემდეგ სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტსძ. ამავე დროს იგი მრავალი წლის განმავლობაში სათავეში ედგა ჩვენი ქვეყნის ამ სამედიცინო დარგის სამსახურს, როგორც სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე და რესპუბლიკის მთავარი სპეციალისტი. რ. სვანიშვილმა უდიდესი როლი შეასრულა რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დარგების განვითარებაში როგორც სასწავლო და სამეცნიერო კადრების, ისე პრაქტიკული სპეციალისტების (ექიმების, მეთოდისტებისძ მომზადების თვალსაზრისით. როგორც კონსულტანტი, ის რეაბილიტაციის საკითხებში მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ბევრ სამედიცინო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს.

რ. სვანიშვილი ჩვენი პრესის ფურცლებზე წლების განმავლობაში აქვეყნებდა და აქვეყნებს ცხოვრებას ჯანსაღი წესის დამკვიდრების პრობლემასთან დაკავშირებულ კვალიფიციურ წერილებსა და კორესპონდენციებს.

რ. სვანიშვილის ბიბლიოგრაფია ორიგინალურადაა შედგენილი. მის მიერ გამოქვეყნებული მასალები წლების მიხედვით ასეა წარმოდგენილი: **სახელმძღვანელოები (7 წიგნი), დამხმარე სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა (12), მეთოდური რეკომენდაციები (19), მონოგრაფიები, ბროშურები (12), სამეცნიერო ნაშრომები (210), ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სამეცნიერო-პოპულარული და საპრობლემო წერილები (614) და მოგონებები (10).**




რ. სვანიშვილმა ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე გამოაქვეყნა 890-ზე მეტი სოლიდური პუბლიკაცია, რაც საქართველოში მედიცინის დარგის მუშაკებს შორის, ალბათ, რეკორდულია! აღსანიშნავია ისიც, რომ რ. სვანიშვილმა ბიბლიოგრაფიის გამოცემის შემდეგ კიდევ რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა, მათ შორის სპორტული მედიცინის სახელმძღვანელოც არის.

რომანოზ სვანიშვილი ჩვენი ქვეყნის შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია. ვუსურვოთ მას ჯანმრთელობა და ახალი სამეცნიერო-პუბლიცისტური წარმატებები.

**ლადო დონაძე**

### ინფორმაცია

## იწყება ისტორიული უბნების რეაბილიტაცია

**თბილისის მერმა გიგი უგულავამ ახალი პროექტი წარადგინა. პრეზენტაციას, რომელიც მეტეხის ეკლესიის ეზოში გაიმართა, ხელისუფლების, სამშენებლო კომპანიების, ბანკების წარმომადგენლები, დეპუტატები ესწრებოდნენ.**

**პროექტი მიზნად ისახავს თბილისის ძველ უბნებში მცხოვრები მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირებას და ისტორიული უბნების რეაბილიტაციას.**

**მერია მშენებლებს უდგება გარანტად, ბანკიდან მიიღოს თანხა მშენებლობის დასასრულებლად, რომელიც ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენების გამო ვერ დაასრულა. ბანკიდან მისაღები თანხის ოდენობა დადგინდება მიწის ნორმატიული ფასის, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტისა და უბნების პრიორიტეტულობის მიხედვით.**



**როგორც პრეზენტაციაზე გიგი უგულავამ განაცხადა, დედაქალაქის რამდენიმე უბანში არსებობს მწვავე ავარიული ფონდი, სახლების ნაწილი საცხოვრებლად უვარგისი და სახიფათოა. სამშენებლო კომპანიებს საშუალება ექნებათ, ავარიული სახლების მობინადრეები დააინტერესონ და შესთავაზონ მათ ბინები ამჟამად მშენებარე ადგილზე. ბინების აშენებამდე კი მობინადრეები თავიანთ ძველ საცხოვრებელ სახლებში რჩებიან. ახალ ადგილზე გადასვლის შემდეგ მობინადრეთა ძველი საცხოვრებელი სახლები სახელმწიფოს კუთვნილება გახდება.**

**— იმ კომპანიებს, რომლებიც მობინადრეებს ფართით დააკმაყოფილებენ, ექნებათ უპირატესობა, ძველ უბნებში განახორციელონ სამშენებლო პროექტები. ასეთი სურვილის არარსებობის შემთხვევაში კი, ადგილი გატანილი იქნება აუქციონზე. აუქციონიდან შემოსული ამონაგები თანხა გადაეცემა დეველოპერს, ხოლო დანარჩენი შევა ქალაქის ბიუჯეტში, — აღნიშნა უგულავამ.**

ინტერპრესნიუსი

ცურვა

# 20 წლის შემდეგ



**„ლაგუნა ვერეს“ აუზში დამთავრდა საქართველოს მოცურავეთა ღია ჩემპიონატი.** ასპარეზობის ბოლო დღეს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ბაქოელი ნატალია ფილინა და გორელი გიორგი ბუხრიკიძე (50 მ. თავისუფალი ყაიდაძ, გორელი გვანცა ხინჩეგაშვილი და ბაქოელი თემურ გულიევი (50 მ.ბატერფლაიძ, თბილისელები – ეკა კაჭახიძე, ალექსანდრე ხახანაშვილი (100 მ.ბრასიძ, ირაკლი რევიშვილი (200 მ. კომპლექსური ცურვა და 800 მ. თავისუფალი ყაიდაძ, ბათუმელი სოფიო ცინცაძე და ბაქოელი ბორის კირილოვი (100 მ. გულაღმა ცურვაძ.

შეჯიბრებაში 20-წლიანი „შესვენების“ შემდეგ პირველად იასპარეზეს ჭიათურელმა მოცურავეებმა. მათგან ანა სანარსკიმ 100 მ. გულაღმა ცურვაში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. უფრო უხვი ნადავლით დაბრუნდნენ შინ საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილას საჯარო სკოლის სპორტსმენები, რომლებმაც 6 საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

ქართველ მოცურავეთაგან გიორგი მთვრალაშვილი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში არ მონაწილეობდა, ივლისში ევროპის პირველობაზე გამოვა, ხოლო თვის მიწურულს ირაკლი რევიშვილთან ერთად რომში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსინჯავს ძალებს. ირაკლი შენგელია, ირაკლი ბოლქვაძე და დავით სიხარულიძე ფინურ ტამპერეში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში დაიცავენ საქართველოს სპორტულ ღირსებას.



**გიორგი გაგუა**

**სურათზე: ჭიათურის გუნდი.**

ფეხბურთი

# არის ასეთი ქვეყანა...



**მას შემდეგ, რაც კონფედერაციათა თასის გათამაშება „დაიბადა“, სკეპტიკოსთა აქტიურობას ბოლო არ უჩანს. რა საჭიროა მომქანცველი სეზონის შემდეგ ასეთი ნაკლებპრესტიჟული ტურნირი, როცა მონაწილეთა უმეტესობა დღეებს ითვლის, რომელ ეგზოტიკურ კუნძულზე გაატაროს შვებულება – ასეთია კრიტიკოსთა არგუმენტი.**




საბედნიეროდ, არის ქვეყანა, სადაც საკითხს სახელმწიფოებრივად ეკიდებიან და ნებისმიერი ტიტულის მოპოვება გულით უხარიათ. ესაა ბრაზილია, რომლის ქვეშევრდომებიც მესამედ დაეუფლნენ სამხრეთ აფრიკის სტადიონებზე დასრულებული საკონტინენტთაშორისო ფორუმის მთავარ ჯილდოს. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ასპარეზობა მეექვსედ გაიმართა, ხოლო მანამდე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გერმანიასა და საუდის არაბეთში ავიდნენ.

თავაწეულნი ბრუნდებიან სამშობლოში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები. საამისოდ საბაბიც აქვთ. ზედიზედ ორი წაგების შემდეგ ნახევარფინალში სამი წლის განმავლობაში დაუმარცხებელ ესპანელთა დაჩოქება, ხოლო გადამწყვეტ რაუნდში ბრაზილიელებთან ღირსეულად მოგებული პირველი ტაიმი – 2:0, დაგვეთანხმებით, ბრედლის შეგირდებს საამაყოდ გასათვალისწინებელ საფუძველს აძლევთ.

**ფინალი. ბრაზილია – აშშ 3:2 (0:2ძ.**

**გოლები:** ლუიშ ფაბიანო (2ძ, ლუსიუ; დემპსი, დონოვანი.

**მატჩი III ადგილისთვის.** ესპანეთი – სამხრეთ აფრიკა 3:2 (დამატებით დროში, ძირითადი დრო – 2:2ძ.

**გოლები:** გუიზა (2ძ, ხაბი ალონსო; მფელა – 2.

**საუკეთესო მოთამაშე** – კაკა (ბრაზილიაძ.

**საუკეთესო მეკარე** – ჰოვარდი (აშშძ.

**ბომბარდირი** – ლუიშ ფაბიანო (ბრაზილიაძ – 5 გოლი.

**გიორგი შოთაძე**

ჩოგბურთი

# რენას და დათოს თასზე



**სხვადასხვა ასაკის ჩოგბურთელები მონაწილეობდნენ „რენას და დათოს თასის“ გათამაშებაში. ასპარეზობას „დინამოს“ კორტებმა უმასპინძლა. განსაკუთრებულ ინტერესს 14 და 16 წლის სპორტსმენთა შეჯიბრება იწვევდა, რომელშიც უცხოელებიც თამაშობდნენ.**

14 წლის გოგონათა ტურნირის მთავარი პრიზი ერთეულთა თანრიგში ავსტრალიელმა სქაი ჰოპერმა მოიპოვა. ფინალში მან კრასნოდარელი მაია კაციტაძე დაამარცხა – 6:2, 6:2. კაციტაძემ და თინა ბოხუამ (ორივე – რუსეთიძ წყვილებში ჰოპერისა და აქგულის (თურქეთიძ დუეტს სძლიეს 6:2, 6:1. ამავე ასაკის ვაჟებში თბილისელმა ალექსანდრე დავლიანიძემ 7:6, 6:1 მოუგო სანკტპეტერბურგელ გიორგი ჯავახიშვილს. რუს ანდრეი რეჩკინთან ერთად დავლიანიძე წყვილებშიც ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

16-წლიან გოგონებში ტოლი არ ჰყავდა ბარბარე ერისთავს, რომელმაც გადამწყვეტ პაექრობაში ანა გოგვაძეს აჯობა – 6:1, 5:7, 6:3. წყვილებში გოგვაძე-ერისთავის დუეტმა ბაბილინა მაჩაიძეს და სომეხ ანანიტ განჯალიანს დააყრევინა ფარ-ხმალი – 7:6, 7:5.

ვაჟებში უძლიერესი იყო ნიკა დოლიძე. მან ფინალში დავით ხუციშვილი დაამარცხა – 6:4, 6:1. წყვილებში გიორგი ცივაძემ და ხუციშვილმა ლუკა ფილფანსა და ნიკა ციციშვილს მოუგეს – 6:1, 6:2.

თბილისის ტურნირის მონაწილეთა უმრავლესობამ ერევანს მიაშურა, სადაც ორი საერთაშორისო შეჯიბრება გაიმართება.

**ლექსო ცინცაძე**

ძიუდო

# მხოლოდ „ბრინჯაო“



**სლოვენიის ქალაქ კოპერში დამთავრდა ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა. ჩვენმა სპორტსმენებმა სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მესამე ადგილებზე გავიდნენ ლუხუმ ჩხვიმლიანი (55 კგძ, ირაკლი ლომიძე (66ძ და ლევან რუაძე (81ძ.**

კრივი

## მაკკეინი ჩემპიონს ემხრობა

**აშშ სენატმა მოუწოდა ქვეყნის პრეზიდენტ ბარაკ ობამას, რეაბილიტაცია გაუკეთოს ამერიკელ მოკრივე ჯეკ ჯონსონს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი 100 წლის წინათ გახდა. შესაბამისი რეზოლუცია მოიწონეს კონგრესის ზედა პალატის წევრებმა. მის ინიციატორად გამოვიდა პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი რესპუბლიკური პარტიიდან, სენატორი არიზონის შტატიდან ჯონ მაკკეინი.**



1913 წელს ჯონსონი გაასამართლეს „მანის კანონის“ დარღვევისთვის, აფროამერიკელის ურთიერთობისთვის ევროპელ თეთრკანიან ქალთან. მოკრივე საფრანგეთში გაიქცა, მაგრამ 1924 წელს დაბრუნდა ამერიკაში, ჩაბარდა ფედერალურ აგენტებს და სადამსჯელო ვადა ციხეში მოიხადა.

სენატის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ განაჩენი რასისტულად იყო მოტივირებული და აკნინებდა ჯეკ ჯონსონის სპორტულ და ისტორიულ დამსახურებებს. ის ხომ მსოფლიო ჩემპიონი გახდა 1908 წელს, 14 რაუნდში კანადელი ტომი ბერნსის ცემის შემდეგ. ერთ-ერთი მისი მეტოქე შემდეგ იყო ყოფილი ამერიკელი მსოფლიო ჩემპიონი ჯიმ ჯეფრესი. ჯეკმა მასთანაც გაიმარჯვა. შემდეგ კი აგორდა რასისტული ტალღა, რისი მსხვერპლი ჯონსონიც გახდა.

როგორც ამბობენ, სიმბოლური იქნება ამერიკის პირველი შავკანიანი პრეზიდენტის მიერ შავკანიანი მოკრივის რეაბილიტაცია.

ინტერნეტიდან

## ელისაბედ მეორე უიმბლდონზე მისვლას აპირებს



**დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე, შესაძლოა, დაესწროს ჩოგბურთში უიმბლდონის ტურნირის ფინალურ მატჩს, რომელიც 5 ივლისს გაიმართება, თუკი მასში ითამაშებს ქვეყნის მთავარი იმედი, შოტლანდიელი ენდი მარეი.**

უკანასკნელად ელისაბედ მეორემ საჩოგბურთო ტურნირს ყურადღება მიაპყრო 32 წლის წინათ, 1977 წელს, როდესაც დედოფალი სამეფო ლოჟიდან თვალს ადევნებდა ქალთა ფინალში ინგლისელი ვირჯინია უეიდის თამაშს. ეს იყო უიმბლდონის ისტორიაში ბოლო შემთხვევა, როდესაც გამარჯვებულის მაღალი ტიტული დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა მოიპოვა, ვაჟთა შორის კი გამარჯვება შორეულ 1936 წელს ფრედ პერიმ მოიპოვა.

## აბა, ბოლტს ვინ დაეწევა!

**იამაიკის ჩემპიონატის ჩარჩოებში სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა უსეინ ბოლტმა 100 მეტრზე სირბილში აჩვენა მსოფლიოში საუკეთესო შედეგი სეზონისთვის – 9,86 წამი. აქამდე მსოფლიო სეზონის ლიდერი იყო ამერიკელი მაიკლ როჯერსი – 9,94. ამ სეზონში ბოლტმა აჩვენა საუკეთესო დრო 100 მეტრზე სირბილში ჩეხეთის ოსტრავეში – 9,77. მაგრამ არ ჩაეთვალა, რადგან ძალზე ძლიერი ზურგის ქარი ქროდა.**



„დღევანდელმა გარბენმა მაჩვენა, რომ თანდათან კარგ ფორმას ვღებულობ, თუმცა ვაპირებ, უფრო გავიუმჯობესო ფიზიკური მდგომარეობა“, – თქვა ბოლტმა.

ბოლტის მეტოქემ, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა ასაფა პაუელმა აჩვენა მეორე დრო – 9,97.

## ლიმა მწვერვალებს უმიზნებს

**საკალათბურთო კლუბის „მემფისის“ მოთამაშის მარკო იარიჩის მეუღლე, პოპულარული ბრაზილიელი მოდელი ადრიანა ლიმა, პირველ ბავშვს რომ მოელის, რეკორდების დამყარებას თავს არანებებს. სპორტსმენის ცოლისგან, აბა, სხვას რას უნდა ელოდე? ამას წინათ ადრიანა მეექვსე ადგილზე დაწინაურდა მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ ქალთა შორის ჟურნალის FHM ვერსიით. ამის გაკეთებაში მას დაეხმარა ფირმის Victuria’s Secret საბანაო კოსტიუმების კოლექციის პრეზენტაციაში მონაწილეობა.**

ჟურნალ FHM სიას ჩრდილოამერიკელი მამაკაცების ხმათა წყალობით სათავეში უდგას მოდელიორთა ვარსკვლავი მეგან ფოქსი. მაგრამ თუ ანდრიანა გააგრძელებს იმ კოსტიუმებში გადაღებას, მალე, ალბათ, ფოქსსაც უკან ჩამოიტოვებს, როგორც ადრე გადაუსწრო ჰაიდი კლუმს, მირანდა კერის და ალესანდრა ამბროსიოს.



გამოსათხოვარი

# იური ცაგარელი

მძიმე დანაკლისი განიცადა საქართველოს ტექნიკურმა ინტელიგენციამ — გარდაიცვალა ქართული ენერგეტიკული დარგის ღირსეული წარმომადგენელი, უმაღლესი რანგის სპეციალისტი და ორგანიზატორი, ინჟინერ-ენერგეტიკოსი იური ცაგარელი.

50 წლის განმავლობაში ბატონი იური ცაგარელი თავდადებულად და უანგაროდ ემსახურებოდა ენერგეტიკული დარგის საიმედო ფუნქციონირებასა და განვითარებას.

იური ცაგარელი დაიბადა 1936 წელს ქალაქ ბაქოში. 1958 წელს დაამთავრა აზერბაიჯანის ინდუსტრიული ინსტიტუტის ენერგეტიკული ფაკულტეტი სპეციალობით თბოელექტროსადგურები.

1959-1960 წლებში იგი მუშაობდა ტყვარჩელის თბოელექტროსადგურზე ინჟინრად, სატურბინო საამქროს უფროსის მოადგილედ და უფროსად.

1960-1964 წლებში მუშაობდა თბილისის თბოელექტროცენტრალზე საამქროს უფროსად. მისი ინიციატივით ამ ობიექტზე განხორციელდა რეკონსტრუქცია — ძველი ტურბინები შეიცვალა ახალი მძლავრი და ბევრად უფრო ეფექტური ტურბინებით.

1964 წელს იური ცაგარელმა დაამთავრა მოსკოვის დაუსწრებელივ ენერგეტიკული ინსტიტუტის დიპლომირებული ინჟინრების ფაკულტეტი.

თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ამუშავებასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც პირველად საქართველოში ამოქმედდა 160 მეგავატი სიმძლავრის ენერგობლოკები, 1964 წელს საქენერგოში შეიქმნა თბომექანიკური აღჭურვილობის ექსპლუატაციის სამსახური, რომლის ხელმძღვანელადაც დაინიშნა იური ცაგარელი.

საქართველოსათვის, ტრადიციულად ჰიდროენერგეტიკით ცნობილი რესპუბლიკისთვის ეს იყო ახალი მიმართულება. 1968 წელს ამ სამსახურის ბაზაზე შეიქმნა ოთხი საწარმოო სამსახური. გრძელდებოდა ახალი ენეროლბლოკების მშენებლობა და, როგორც წარმატებული ხელმძღვანელი იური ცაგარელი დაინიშნა საქენერგოს მთავარი ინჟინრის მოადგილედ და კოლეგიის წევრად. იგი კურირებდა თბილსრესის გაფართოებასა და თბოენერგეტიკის სხვა საჭირბოროტო საკითხებს.

1979 წელს იური ცაგარელი დაინიშნა საქენერგოს უფროსის პირველ მოადგილედ — მთავარ ინჟინრად. ამ თანამდებობაზე იური ცაგარელი ხელმძღვანელობდა როგორც არსებული ენერგეტიკული ობიექტების ექსპლუატაციას, ასევე ენერგეტიკის განვითარებასა და ახალი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობას.

სწორედ ამ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა კავკასიაში უდიდესი ენგურის ჰესი. აშენდა ვარციხის ჰესი მდინარე რიონზე და ჟინვალის ჰესი მდინარე არაგვზე, განხორციელდა ტყვარჩელის სრესის სრული რეკონსტრუქცია. გენერაციის სიმძლავრეების ინტენსიურ ამოქმედებასთან ერთად სწრაფად იზრდებოდა ელექტროენერგიის მოხმარების დონე. ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის ტემპების მხრივ საქართველო ერთ-ერთი მოწინავე იყო კავშირის მასშტაბით. 1988 წელს ელექტროენერგიის მოხმარებამ საქართველოში 18 მილიარდ კილოვატსაათს გადააჭარბა.

საქენერგოს მთავარი ინჟინერი იური ცაგარელი იყო როგორც ყველა ელექტროსადგურის, ასევე ელექტროსაქსელო ობიექტების ექსპლუატაციაში მიმღები კომისიის თავმჯდომარე.

1989-1991 წლებში იური ცაგარელი მიემგზავრება კუბის რესპუბლიკაში, სადაც მუშაობს საბაზისო მრეწველობის მინისტრის მრჩევლად.

კუბიდან დაბრუნების შემდეგ 1992 წლიდან იური ცაგარელი მუშაობდა მოსკოვში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლად, ხოლო შემდეგ პენსიაში გასვლამდე, ენერგეტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ.

იური ცაგარელი ნოვატორული ბუნების პროფესიონალი — არაერთი მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადებისა და გამოგონების, მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორი იყო.

ბატონი იური ცაგარელი იყო საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ერთ-ერთი პირველი წევრი.

იური ცაგარელი დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით.

მეტად მძიმე და დასანანია ისეთი პროფესიონალის, მეგობრისა და კოლეგის დაკარგვა, როგორიც იყო ბატონი იური ცაგარელი.

ბატონი იური ცაგარელის გარდაცვალების გამო გამოვხატავთ ღრმა მწუხარებას, თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს და ყველა ჭირისუფალს. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს ენერგეტიკის აკადემია;
საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი;
საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ხსოვნა

# ვლადიმერ გოგოტიშვილი



ქართველ მუსიკისმცოდნეთა რიგებს გამოაკლდა გამორჩეული პიროვნება, მაღალი სამეცნიერო კვალიფიკაციისა და კულტურის სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ვლადიმერ გოგოტიშვილი.

ვ. გოგოტიშვილი სწავლობდა ჯერ თბილისის კონსერვატორიაში საფორტეპიანო განყოფილებაზე, ხოლო 1956-1961 წლებში მოსკოვის კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიტორო განყოფილებაზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა გამოჩენილი მუსიკისმცოდნის პროფ. ს. სკრებკოვის ხელმძღვანელობით.

1961 წლიდან ვ. გოგოტიშვილი მუშაობდა თბილისის კონსერვატორიაში ჯერ თეორიულ, ხოლო შემდეგ ხალხური შემოქმედების (ფოლკლორისტიკისძ განყოფილებაზე, ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

ვ. გოგოტიშვილის შრომები ქართული ხალხური შემოქმედების აქტუალურ თეორიულ პრობლემებზე გამოირჩევიან მეთოდოლოგიის სიახლითა და ორიგინალობით. ისინი დაიბეჭდა სხვადასხვა, მათ შორის, თბილისში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმებისადმი მიძღვნილ კრებულებში (ქართულ და ინგლისურ ენებზეძ. მათ ქართველი და უცხოელი სპეციალისტების დაინტერესება და მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

მკვლევარს დაუმთავრებელი დარჩა ფუნდამენტური შრომა ქართული ხალხური შემოქმედების თეორიული საფუძვლების შესახებ, მაგრამ ამ სახითაც მისი დაბეჭდვა უთუოდ გაამდიდრებს ჩვენს სამეცნიერო ფოლკლორისტიკას.

ვ. გოგოტიშვილი შემკული იყო შესანიშნავი ადამიანური თვისებებით: უმაღლესი საერთო და ზნეობრივი კულტურა მის პიროვნებაში შერწყმული იყო მტკიცე პრინციპულობასთან.

ჩვენ იგი მუდამ გვემახსოვრება.

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორია,
საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი

---

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი მუსიკისმცოდნის

ვლადიმერ გოგოტიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## განცხადება

**საქართველოს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად შპს „ბერმუხას“ გაკოტრების მმართველი 2009 წლის 12 ივლისს აცხადებს აუქციონს ქ. ამბროლაურში, კოსტავას ქუჩა №3-ში შპს „ბერმუხას“ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ქ. ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №4. ქონება შედგება:** 1. სახერხი ნაგებობა. 2. საწარმოო შენობა ერთსართულიანი. 3. სასაწყობო შენობა. 4. ქვესადგურის შენობა. 5. უაზ-469. 6. ტრაქტორი „დტ-75“. 7. ტრანსფორმატორი. 8. საკაბელო სისტემა. 9. განათების სისტემა. 10. ჩარჩო ხერხი. 11. თვითმავალი ხერხი. 15. ცირკული ხერხი. 13. ტელფერი 3-ტონიანი. 14. სალაშინი. 15. რეისმისი. 16. ცირკული ხერხი.

შპს „ბერმუხას“ ქონების საწყისი გასაყიდი ფასი შეადგენს 100 000 ქართულ ლარს. აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ყველა პირს და რაიმე შეზღუდვა სასამართლოს მიერ დაწესებული არ არის. დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. №3 ან ტელეფონის № 899-21-78-80, საკონტაქტო პირი ნიკუშა დავითულიანი.

**განცხადება აუქციონში მონაწილეობაზე მიიღება ქ. ამბროლაურში, კოსტავას ქუჩა №3-ში.**

გაკოტრების მმართველი

## დაზუსტება

2009 წლის 27 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „მედიატორის“ დებულებაში შეტანილი ცვლილებების შესახებ განცხადება, სადაც გაიპარა შეცდომა — VI პუნქტის მე-13-14 მუხლი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

— პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, პრეტენზიის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში არბიტრაჟი თავისი გადაწყვეტილებებით (დადგენილებითძ აუქმებს ამ პრეტენზიასთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას ცვლილებები და დამატებები ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე“.

## ინფორმაცია

### მოსკოვური ჯილდოები კინორეჟისორებს

**რეზო ჩხეიძეს კინემატოგრაფიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მოსკოვის 31-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ჯილდო გადაეცა.**

დაჯილდოების ცერემონია კვირას გაიმართა. ცნობილი ქართველი რეჟისორი რუსეთის კინემატოგრაფიულმა საზოგადოებამ კინოში მრავალწლიანი მოღვაწეობისა და მის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვა.

მოსკოვის 31-ე საერთაშორისო კინოფესტივალს კიდევ ერთი ქართველი პრიზიორი ჰყავს. ნომინაციაში — „პერსპექტივები“ რეჟისორ **ვანო ბურდულის „კონფლიქტის ზონამ“** გაიმარჯვა.

კინოფესტივალი 19-28 ივნისს გაიმართა. ძირითად კონკურსში წარდგენილი იყო **დიტო ცინცაძის — „მედიატორი“**, ხოლო „პერსპექტივებში“ — **ვანო ბურდულის „კონფლიქტის ზონა“**.

პროგრამაში — „მოსკოვური ეიფორია“ მაყურებელმა **გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“** იხილა.

ინტერპრესნიუსი

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: მიმდინარე წლის 12 ივლისს ვხდები საპენსიო ასაკის. მაქვს მხოლოდ 3 წლის შრომის სტაჟი. დამენიშნება პენსია?**

**ნაირა ყეინოშვილი**

**პასუხი:** დიახ, დაგენიშნებათ. თქვენი პენსიის ძირითადი ოდენობა იქნება 75 ლარი. მასზე 3 წლის სტაჟისთვის 2 ლარი დანამატიც მოგეცემათ.

* * *

**კითხვა: გთხოვთ განმიმარტოთ, მიიღება თუ არა მხედველობაში დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების დროს ზეგანაკვეთური ანაზღაურება და დანამატები?**

**ლია მოწონელიძე**

**პასუხი:** დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების დროს ზეგანაკავეთური ანაზღაურება და დანამატები მხედველობაში არ მიიღება.

* * *

**კითხვა: ვარ საჯარო მოსამსახურე, ველოდები შვილს (ვარ 4 თვის ორსული). მეუბნებიან, კომპენსაცია გეკუთვნისო, მაგრამ კონკრეტულად არა ვარ გარკვეული რა რის ეს კომპენსაცია, თუ შეიძლება ზუსტად განმიმარტეთ?**

**მაგდა ნაფეტვარიძე**

**პასუხი:** თქვენს შემთხვევაში ნაგულისხმები კომპენსაცია არის საჯარო მოსამსახურისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 41[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფულადი დახმარება, რომელიც ფინანსდება შესაბამისი დაწესებულებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებიდან.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

## განცხადება

**სს „ვაკეს“ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი აცხადებს, რომ ა/წლის 20 ივლისს ტარდება აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „ვაკეს“ 2008 წლის სამეურნეო ფინანსური შედეგები, აუდიტორის დასკვნა;
2. საფინანსო შედეგების დამტკიცება;
3. აუდიტორის არჩევა;
4. დივიდენდების შესახებ.

**კრება გაიმართება ქარხნის სააქტო დარბაზში (თამარაშვილის შეს-ვი №15ძ დღის 14 საათზე.**

**რეგისტრაცია დაიწყება 13.30 საათზე, დასასრული 14.00 საათზე.**

**ფიზიკურმა პირებმა იქონიონ დამადასტურებელი დოკუმენტი, იურიდიულმა პირებმა წარმოადგინონ მინდობილობა.**

სს „ვაკეს“ ადმინისტრაცია

რექლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

◉ დაიჯესტი

## შინაური ცხოველები ჯანმრთელობის სადარაჯოზე

**სულ უფრო ხშირად ამტკიცებენ, რომ შინაური ცხოველები აუმჯობესებენ თავიანთი პატრონების ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას. დიდი ხანია, ცნობილია, რომ შინაური საყვარელი არსებები აქვეითებენ სისხლის წნევას და გულის დაავადებათა განვითარების რისკს.**

ავსტრალიის კვინსლენდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოიკვლიეს ცხოველთა ზემოქმედება ადამიანის ცხოვრებაზე და მივიდნენ დასკვნამდე, რომ როდესმე ექიმები პაციენტებს წამლების ნაცვლად გამოუწერენ კატასთან ან ძაღლთან ურთიერთობას.

სწავლულებმა თერაპია ცხოველების დახმარებით დაუკავშირეს აუტიზმით დაავადებულ ბავშვებში მეტყველების გაუმჯობესებას. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ აჯობებს უფრო მასშტაბური გამოკვლევების მოწყობა ამ საკითხზე. ადამიანების ჯანმრთელობაზე ცხოველების გავლენის შემსწავლელმა მათმა ცენტრმა უკვე დაიწყო ასეთი ბავშვების ამ მეთოდით მკურნალობის ეფექტის ანალიზი.

## ინტერნეტი — უძილობის მტერი

**ბევრი ადამიანი, უძილობა რომ აწუხებთ, ღამეს ატარებენ მსოფლიო „აბდაუბდაში“. ამერიკელი მეცნიერების აღმოჩენა დაეხმარება ამ ადამიანებს, ძილს რომ არიან მონატრებულნი, ინტერნეტის საშუალებით კვლავ დაეუფლოს მას.**



ახლახან შემუშავებული ონლაინ-დამატება ეფექტურია უძილობის მკურნალობისას. მოხალისეთა 35 პროცენტმა, პროგრამის გამოცდაში რომ მონაწილეობდა და ონლაინის რეჟიმში მკურნალობის მთელი კურსი გაიარა, მთლიანად დაძლია უძილობა. რესპონდენტთა 40 პროცენტი კი აცხადებს თავისი მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე, გამოცდაში მონაწილე ადამიანების 16 პროცენტმა კი ვერ შენიშნა დადებითი ცვლილებები.

**უცხოური პრესის მიხედვით**

## მსიე, ტუჩები მოკუმეთ!



**მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი კომიკოსი ფერნანდელი (ეს დიდი ფრანგი კინომსახიობის ფსევდონიმია და „მის ფერნანს“ ნიშნავს) ავტობიოგრაფიულ წიგნში წერდა:** „სასიმამროს ქალიშვილის ხელის სათხოვნელად რომ ვეახლე, ძალიან მინდოდა კარგი შთაბეჭდილების მოხდენა და მთელი სადილის განმავლობაში იმდენს ვიღიმებოდი, რომ კაცს ბოლოს ნერვებმა უმტყუნა და დამიღრიალა. „ახალგაზრდა, პირი ცოტა ხნით მაინც მოკუმეთ და სახე დამანახეთ!“

## ჯუჯა ირემი

**დედამიწაზე ყველაზე პატარა ირემი, რომელსაც სამხრეთის პუდუს უწოდებენ, სიმაღლეში 40 სანტიმეტრია, ხოლო წონით 10 კილოგრამზე ოდნავ მეტს იწონის. მისი მეორე განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ მას, ჩრდილოეთის პუდუს გარდა ნათესავი არა ჰყავს.** მაგრამ ჩრდილოეთის პუდუს ლათინური სახელი მაინც აქვს ლამაზი და მრისხანე — Pudu mephistopholes, სამხრეთის პუდუს კი ლათინური სახელიც საწყალი აქვს — Pudu Pudu. მესამე ნიშანი კი ის არის, რომ სამხრეთის პუზუ არა მარტო ეულია, არამედ საცოდავიც. ოდესღაც სამხრეთ ამერიკაში, ანდების წინა მთიანეთში. არგენტინისა და ჩილის



ტროპიკულ ტყეებში უამრავი პუდუ ბინადრობდა, მაგრამ ბოლო ასწლეულის მანძილზე პირიდან მიწისა გაქრა აქაური ტყეების... 90 (!) პროცენტი და პაწაწუნა ირმებსაც საარსებო პირობები მოესპოთ. გარდა ამისა, ბრაკონიერებმა მათ ნამდვილი ომი გამოუცხადეს, ვინაიდან ამ გრაციოზულ ცხოველებზე დიდი მოთხოვნილებაა ეგზოტიკურ ცხოველთა მოყვარულებში. ამდენად, ამჟამად პუდუ გადაშენების ზღვარზეა.

## „ალმასების გვირგვინი“... ფუნიდან

**სინთეტური ალმასებით ჩვენს დროში ველარავის გააკვირვებ. მათ გასული საუკუნის 50-იან წლებიდან მოყოლებული აწარმოებენ.** წარმოების საიდუმლო სკოლის მოსწავლეებმაც კი იციან. საამისოდ საჭიროა გრაფიტი ან ნახშირწყალბადის შემცველი ნივთიერება და მაღალი წნევა. მაგრამ გერმანიის ფრაუნჰოფერის ინსტიტუტის მკვლევარმა როი გრაინერმა ხელოვნური ალმა-



სები საერთოდ ყოველგვარი გრაფიტის გარეშე შექმნა. მან ტრინიტროტოლუოლის მუხტი ჰერმეტულ საკანში ააფეთქა და მის კედლებზე დარჩენილ მჭვარტლში ალმასის კრისტალები აღმოაჩინა. საქმე ის არის, რომ მათ წარმოსაშობად საკმარისი აღმოჩნდა ჰაერსა და თავად ასაფეთქებელ ნივთიერებაში არსებული ნახშირწყალბადი. აფეთქების პროდუქტი, ცხადია, ძვირფასეულობა არ არის, რადგან საქმე ეხება მხოლოდ მიკრონის ნაწილის სიგრძის მქონე კრისტალებს, თუმცა აღნიშნული აბრაზიული ფხვნილის სამრეწველო ბედის წარმოდგენა ძნელი არ უნდა იყოს.

კი, მაგრამ რაშია ამ წმინდა წყლის ტექნიკური ინფორმაციის მომხიბვლელობა? — იკითხავთ თქვენ, ბატონო მკითხველო. რაში და შემდგომ გაგრძელებაში. მეცნიერები უფრო შორს წავიდნენ და ისწავლეს ალმასების... გაზიდან მიღება, თანაც არა ბუნებრივიდან, არამედ იმისგან, რომელიც საკანალიზაციო კოლექტორებში გროვდება და მეცხოველეობის ნარჩენების მეგზურია. აქედან კი ხელოვნური ალმასების ისტორია ახალ გაგრძელებას იძენს, ასენიზატორების პროფესიას კი მოულოდნელად „ალმასებით გაწყობილი“ გვირგვინი ადგება თავს.

**უცხოური პრესის მიხედვით**

◉ ინფორმაცია

## გადავარჩინოთ ხუთი წლის გოგონას სიცოცხლე, რომელსაც სახელმწიფო არ ეხმარება

**იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში მოთავსებული 5 წლის მეგი ხაზიური, რომელიც მეოთხე დღეა უგონო მდგომარეობაშია, თანხის გადაუხდელობის გამო, შესაძლოა, ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან გამორთონ. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან იტყობინებიან.**

როგორც ბავშვის ბებია გულნაზი ხაზიური აცხადებს, კლინიკაში ყოველდღიური გადასახდელი 400 ლარს შეადგენს, რომელსაც ოჯახი ვერ იხდის.

5 წლის მეგი ხაზიური დიდი რაოდენობით მედიკამენტების მიღების შედეგად მოიწამლა. 26 ივნისს, გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში, სადაც ხაზიურები ცხოვრობენ, ბავშვი სათამაშოდ მეზობელთან იყო გასული. 5 წლის მეგიმ და 3 წლის ქრისტინე ვარდოსანიძემ მედიკამენტები დალიეს, რაც მშობლებისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი. 3 წლის ქრისტინეს ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, ხოლო მეგი ხაზიურის მდგომარეობა უკიდურესად მძიმე.

გოგონას ოჯახი დახმარებას ითხოვს.

**ინტერპრესნიუსი**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ახალი მისამართია: გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. №19. ტელ: 99-62-77.**

**რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“**
**გ. ახვლედიანის ქ. №19. 99-62-77; 899 32-85-76.**

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

მიხო შვილს არიგებს:
— თუ წიგნებს არ წაიკითხავ, ვიწრო თვალსაწიერი გექნება... არა, მრგვალი თვალსაწიერი... საერთოდ, იკითხე წიგნები — ჩემსავით ჭკვიანი იქნები.

* * *

— გოგონი, მომეცით თქვენი ტელეფონი.
— ეს რა, რომანტიკული გაცნობაა?
— არა, პრაგმატული ძარცვაა.

* * *



ჩვენს ქვეყანაში გულუბრყვილობა — ეს არის ის, რომ ცალმხრივი მოძრაობის ქუჩაზე გადასვლისას, შენი აზრით, მხოლოდ ერთ მხარეს უნდა იყურო.

* * *

მიხომ ვირის „ტაჩკა“ სოფელში შეაგრიხინა:
— ხალხო! გამოდით, შაბიამანი მოვიტანე!
— ჰო, დედიშენისამ, ზუსტად შენ მოიტანე, აი! — შეჰყროყინა ვირმა.

* * *

მართლმსაჯულება საქართველოში თეორიულად და პრაქტიკულად დამოუკიდებელია იმ გაგებით, რომ სასამართლოთა პრაქტიკა დამოკიდებული არ არის სამართლის თეორიაზე.

* * *

ქალბატონებო და ბატონებო! ეწვიეთ ჩვენს ფეშენებელურ კაზინო „ალმასს“ ზღვის სანაპიროზე! თავდავიწყებითი აზარტული თამაშის შემდეგ თქვენ იქიდან პირდაპირ ნუდისტურ პლაჟზე გახვალთ!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.